



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)**

სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათია ოზბეთელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

დარეჯან ზარანდია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

ირმა თოდბე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნანა ქურთიაშვილი - თაბორიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

დალი კერესელიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/ნ 237981207

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი გლოლა
ფაქტობრივი მისამართი	ონი, სოფელი გლოლა
საფოსტო ინდექსი	glolis.skola@yahoo.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1549?schoolName=
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	glola@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599 581435

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ 06/08/2024 წლის ბრძანება MES 4 24 0000947841
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 19 და 20 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი გლოლა, 1 შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი გლოლა, 1 შენობა-ნაგებობა

	პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი გლოლა, 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2024 წლის 19 და 20 სექტემბრის სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, მოხდა ონლაინ შეხვედრა და დამუშავებული დოკუმენტაციის განხილვა, რის საფუძველზეც ექსპერტების მიერ განხორციელდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, შემუშავებულ იქნა შეხვედრის აქტი, რომელშიც მკაფიოდ გაიწერა ექსპერტთა ჯგუფის შესასრულებელი საქმიანობა, ფუნქციების გადანაწილება და პასუხისმგებელი პირები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. სკოლის მხრიდან იყო სრული მზაობა თითოეული სტანდარტის შესაბამისად დასმულ შეკითხვაზე მყისიერად წარმოედგინათ შესაბამისი მტკიცებულება, სკოლის მხრიდან ამგვარმა კონსტრუქციულმა მიდგომამ განაპირობა დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. რაც შეეხება დაწყებითი საფეხურის ექსპერტს, საგნობრივ ექსპერტებთან ერთად განიხილა გამოგზავნილი მასალა დაწყებითების

მიმართულებით, ჩაერთო საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში, თითოეულ საგნობრივ ექსპერტს მიაწოდა

უკუკავშირი და წარმოადგინა გაერთიანებული ზოგადი კომენტარიც:

„გავეცანი სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციას I-IV კლასების სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და მე და საზოგადოების საგნობრივი მიმართულების კურიკულუმებს. საჭიროებისამებრ, გავგზავნე დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნის ფორმა. დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტების გაცნობისა და ინტერვიუების პროცესში ჩემ მიერ დასმული, დამაზუსტებელი კითხვების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ გრძელვადიან სამიზნე ცნებაზე დაყრდნობით, როგორ უნდა განახორციელონ შუალედური სასწავლო მიზანი. თუმცა, სასურველია გაითვალისწინონ გარკვეული რჩევები. ვმონაწილეობდი ავტორიზაციის ჯგუფის ყველა შეხვედრაში. საგნობრივ ექსპერტებთან მქონდა კომუნიკაცია როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტით. ერთდროულად წარვმართეთ ინტერვიუებისა და დასკვნების შჯამების პროცესი. ვიმოქმედეთ შეთანხმებულად, მივეცი რჩევები.

დაწყებითი კლასების სპეციფიკიდან გამომდინარე ვაწარმოე მათი რევიზია. ჩემ მიერ გაცემული რჩევები აისახა საგნობრივი ექსპერტების დასკვნებშიც.

სახელმწიფო ენა - სასურველია:

კურიკულუმები შეძლებისდაგვარად შეივსოს რესურსებით.

აწარმოონ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ესგ-ის სტანდარტზე და მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით.

მათემატიკა - სასურველია:

აწარმოონ კურიკულუმზე დაფუძნებული კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასებები და რეფლექსიები.

კურიკულუმები შეადგინონ საფეხურზე ერთნაირი ფორმატით.

მე და საზოგადოება - სასურველია:

კურიკულუმები შეძლებისდაგვარად შეივსოს რესურსებით.

აწარმოონ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ესგ-ის სტანდარტზე და მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით.“

არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა გათვალისწინებული რჩევები:

სახელმწიფო ენის კურიკულუმები შეძლებისდაგვარად შეავსო რესურსებით და შექმნეს კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა;

შექმნეს კურიკულუმების ერთნაირი ჩარჩო;

მე და საზოგადოებაში კურიკულუმში ჩაამატეს რესურსები.

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა
განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების
ზღვრული რაოდენობა

21

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების
მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების
ზღვრული რაოდენობა

50

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის გეოგრაფიული მდებარეობა ქმნის ორგანიზაციის გამორჩეულ მახასიათებლებს. სკოლის მდებარეობიდან გამომდინარე, ორგანიზაციის ფუნქციონირების პროცესში იკვეთება მრავალი საჭიროება, რომელიც სკოლისთვის გამოწვევას, და არა პრობლემას, წარმოადგენს. მაღალმთიან რეგიონში აღნიშნული სკოლა, როგორც მოსწავლეთათვის ისე გლოლის თემისთვის სიახლის, განვითარებისა და მომავლის პერსპექტივების მთავარი ინსტიტუციაა. ორგანიზაცია ითვალისწინებს გეოგრაფიული მდებარეობას, სოციო-კულტურულ და ისტორიულ კონტექსტს, სკოლას შემუშავებული აქვს საკუთარ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული ფილოსოფია, რომლის აქტუალურობა და მიღწევის პრაქტიკა ჩანს სასკოლო საზოგადოების თითოეულ ქმედებაში, აქტივობასა თუ მიდგომაში.

სკოლას გამორჩეულად ახასიათებს: თანამშრომლობითი თუ გუნდური საორგანიზაციო კულტურა, სასკოლო საზოგადოების გაზიარებული პასუხისმგებლობა, მზაობა ცვლილებებისადმი, განუსაზღვრელად დიდი როლი და ავტორიტეტი თემში. ორგანიზაცია მცირეკონტიგენტიანია (სწავლობს 21 მოსწავლე), თუმცა თითოეული ბავშვის განვითარებისთვის მრავალფეროვნების შეთავაზება სკოლის უნიკალური ნიშაა, რომელიც გამოიხატება არაფორმალური განათლების განვითარებას, სხვადასხვა ორგანიზაციებთან (კოლეჯი, უნივერსიტეტი), ადგილობრივ ბიზნესთან, კოლეჯებთან თანამშრომლობასა თუ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან პარტნიორობაში. სკოლის თითოეული ქმედება თუ სივრცე პასუხობს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებზე მორგებასა და ბავშვების მაღალ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლის დოკუმენტაციის შესწავლა და პრაქტიკაზე დაკვირვება ცალსახად გვაჩვენებს ადგილობრივ თემში სკოლის დიდი ავტორიტეტისა და როლის ქონას. 2023 წლის ზაფხულში სოფელი გლოლისა და შოვის ტერიტორიაზე მოხდა სტიქიური მოვლენა, რომელიც საქართველოს ტრაგედიად იქცა. აღნიშნული პროცესების უმძიმესი შედეგები განსაკუთრებულად შეეხო

სასკოლო საზოგადოებასა და გოგონის თემს. ტრაგედიიდან დღემდე სასკოლო და სათემო ცხოვრებაში სკოლა ის ნათელი წერტილია, რომლის საქმიანობაც მომავალ თაობას ეხმარება ფეხზე წამოდგომასა და ცხოვრების გაგრძელებაში.



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება



პერსონალის განვითარება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3

პროცესების მართვა

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.4

ადამიანებისა და პროცესების
უსაფრთხოება

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.5

მატერიალური რესურსები და
ინფრასტრუქტურა

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.6

საინფორმაციო რესურსები

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7

ფინანსური რესურსები

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება
	☐ მეტწილად შეესაბამება
	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება
მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება
	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☒ შეესაბამება
მოსწავლეთა მხარდაჭერის ლონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება
	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
	☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -----50-----	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას ორგანიზაციას რჩევის სახით მიეცა, რომ ყველა იმ საგანში, რომელსაც არ ასწავლის შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის წარმომადგენელი, გამოაცხადოს სისტემატიური ვაკანსია, მიმართოს ახლომდებარე სოფლებს და იქ მოიძიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრი, განიხილოს ონლაინსწავლების პრაქტიკა და დისტანციურად მომუშავე კადრის აყვანის შემთხვევაში



		გადაწყვეტილება შეუთანხმოს სამინისტროს. სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ აღნიშნული რჩევის გათვალისწინების პრაქტიკის მტკიცებულებებად წარმოადგინა https://teacherjobs.ge -ზე სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის მიერ გამოცხადებული ვაკანსიები, კერძოდ შემდეგ საგნებში: ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, უცხოური ენა (რუსული).
3.4.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.	ორგანიზაციას მიეცეს რჩევა, რომ სასურველია ფიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების სასკოლო გარემოს შექმნის ხელშემწყობი დოკუმენტის გაწერა, რომელიც იქნება სასკოლო საჭიროებებსა და მზაობაზე მორგებული.
3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.	ორგანიზაციას მიეცეს რჩევა, რომ აიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს კადრის დანიშვნიდან არაუგვიანს 10 დღეში.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.საგნობრივ კურიკულუმებში (ჩვენი საქართველო მე-5, მე-6 კლასი) სასურველია, მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მახასიათებლები, კონტექსტ-მაგალითები, რომლებსაც მოსწავლე მიჰყავს ესგ-ით გაწერილ მოკლევადიან და გრძელვადიან შედეგებამდე.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: 1. კურიკულუმებში III - VI კლ. შეუძლიათ დაამატონ სასკოლო სახელმძღვანელოებში მითითებული კომპლექსური ტიპის დავალებები, ასევე შეუძლიათ გამოიყენონ მათემატიკის ვებსაიტზე math.ge განთავსებული დავალებები. აღნიშნული რჩევა სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს ორგანიზაციამ ნაწილობრივ გაითვალისწინა, კერძოდ VI კლასის კურიკულუმში დაამატა კომპლექსური ტიპის დავალებები. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა - 1.სასურველია თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში დაიგეგმოს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (ჩვენი საქართველო მე-5, მე-6 კლასი; მე და საზოგადოება მე-3, მე-4 კლასი) ჩვენი საქართველოს საგნობრივ კურიკულუმში მკაფიოდ განისაზღვროს კურიკულუმით დაგეგმილი ყველა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის იდეა, მაგ. რის შესახებ უნდა შექმნას მოსწავლემ ბუკლეტი. უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: 1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამდიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას ორგანიზაციას უცხოური ენების ექსპერტის მხრიდან მიეცა რჩევა: თითოეული



		კლასის კურიკულუმში გაწერილია ძირითადად ერთი შემოქმედებითი პროდუქტი, თუმცა საგნის მასწავლებელთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ რეალურად მეტს ახორციელებენ, რისი ასახვაც კურიკულუმში სასურველია. აღნიშნული რჩევა სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს ორგანიზაციამ გაითვალისწინა, რაც ვლინდება სკოლის მიერ გამოგზავნილ მტკიცებულებაში, კერძოდ, ინგლისური ენის დაწყებითი საფეხურის მეექვსე კლასის კურიკულუმში, რაც შეეხება რუსულ ენას, სკოლას მიეცა რჩევა, სამომავლოდ რუსულ ენაშიც გაითვალისწინოს რჩევაში მოცემული საკითხები. 2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას ორგანიზაციას უცხოური ენების ექსპერტის მხრიდან მიეცა რჩევა, სასურველია კურიკულუმის თემების გრაფაში ჩანდეს, რამდენი საათი ეთმობა თითოეული თემის გავლას. აღნიშნული რჩევა სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს ორგანიზაციამ გაითვალისწინა, რაც ვლინდება სკოლის მიერ გამოგზავნილ მტკიცებულებაში, კერძოდ, ინგლისური ენის დაწყებითი საფეხურის მეექვსე კლასის კურიკულუმში. რაც შეეხება რუსულ ენას, სკოლას მიეცა რჩევა, სამომავლოდ რუსულ ენაშიც გაითვალისწინოს რჩევაში მოცემული საკითხები. 3. პროექტის წარდგენისას ორგანიზაციას უცხოური ენების ექსპერტის მხრიდან მიეცა რჩევა, სასურველია კურიკულუმში მითითებული იყოს კონკრეტული აქტივობების აღწერა, რომლებსაც მასწავლებელი ახორციელებს წლის განმავლობაში, მაგ: თემატური პოსტერი, სხვა საგნებთან ინტეგრირებული პროექტი და მისთ. აღნიშნული რჩევა სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის დროს ორგანიზაციამ გაითვალისწინა, რაც ვლინდება სკოლის მიერ გამოგზავნილ მტკიცებულებაში, კერძოდ ინგლისური ენის დაწყებითი საფეხურის მეექვსე კლასის კურიკულუმში. რაც შეეხება რუსულ ენას, სკოლას მიეცა რჩევა, სამომავლოდ რუსულ ენაშიც
ინდიკატორი 2.1.2. 4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	<u>უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა:-</u> 1. სასურველია კურიკულუმში ჩანდეს დიფერენცირებული მიდგომის მაგალითები, მაგ. მოსწავლეს მიეცეს საშუალება, თავად აირჩიოს შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენის ფორმა.



ინდიკატორი 2.1.2. 5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს;	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1. სასურველია, რომ მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შეფასებები ორიენტირებულ იქნას ცნებებსა და ქვეცნებებზე, იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს, თუ როგორ მოხდა მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრება სხვადასხვა თემატურ კონტექსტში. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა : - 1. შეფასების რუბრიკების შექმნისას პედაგოგებმა იხელმძღვანელონ საგნობრივი (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებით, რომ შესაძლებელი იყოს მოსწავლის (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) შეფასება კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებებთან მიმართებით. სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა : 1. ექსპერტის მხრიდან, სკოლას მიეცეს რჩევა, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინონ კრიტერიუმთა კორელაცია მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში. უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა :- 1. შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები არის ზოგადი, სასურველია მეტი კონკრეტიკა, მაგალითად, თემის შეფასების რუბრიკები, რომლებშიც ზუსტად აისახება, მოცემულ თემაში გავლილი რასაკითხები ფასდებად როგორ. ინგლისური ენის რუბრიკები უფრო მრავალფეროვანი ა, თუმცა კათედრაზე იგრძნობა ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება, აქედან გამომდინარე, სასურველია და შესაძლებელია ინგლისური ენის გამოცდილების გაზიარებადარუსული ენის კურიკულუმის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებით გამდიდრება.
ინდიკატორი 2.2.1. 3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა:- 1. სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.



ინდიკატორი 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში,	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -1.სასურველია, თითოეული თემის დამუშავებისას გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, როგორც ციფრული, ისე მატერიალური სახით. უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა : 1.უცხო ენის სპეციფიკიდან ინტერნეტზე წვდომის შემთხვევაში შესაძლებელია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება, გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ რესურსებს იყენებენ, ოღონდ ეს სრულად არ ჩანს კურიკულუმში, სასურველია გამოყენებული აუდიო, ვიდეო და ტექსტური ფაილების ბმულების სრული სიის კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითება სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს ორგანიზაციამ გაითვალისწინა, რაც ვლინდება სკოლის მიერ გამოგზავნილ მტკიცებულებაში, კერძოდ, ინგლისური ენის დაწყებითი საფეხურის მეექვსე კლასის კურიკულუმში. რაც შეეხება რუსულ ენას, სკოლას მიეცა რჩევა, სამომავლოდ რუსულ ენაშიც გაითვალისწინოს რჩევაში მოცემული საკითხები.
ინდიკატორი 2.2.2. 4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.ვინაიდან სოფელი არის საზღვრისპირა, მაღალმთიანი და არის კადრების დეფიციტი, საგან „მე და საზოგადოებას“ ასწავლის არასერტიფიცირებული მასწავლებელი. სასურველია სკოლამ სისტემატიურად დადოს ვაკანსიები, რათა საგანი ასწავლოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების მქონე კვალიფიციურმა პედაგოგმა.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	რჩევა
--------------	--------------------	-------



	(ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -1.სასურველია, პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, კონტექსტ მაგალითები,მაგალითები შედარებისათვის.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	უზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.სასურველია კურიკულუმში ჩანდეს, რამდენი საათი ეთმობა თითოეული თემის გავლას. სასურველია, რომ კომპლექსური დავალების ნაცვლად შესაბამის ქვეთავში ეწეროს შემოქმედებითი პროდუქტი. 2. თითოეული კლასის კურიკულუმში გაწერილია ძირითადად ერთი შემოქმედებითი პროდუქტი, თუმცა საგნის მასწავლებელთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ რეალურად მეტს ახორციელებენ, რისი ასახვაც კურიკულუმში სასურველია. აღნიშნული რჩევა სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს ორგანიზაციამ გაითვალისწინა, რაც ვლინდება სკოლის მიერ გამოგზავნილ მტკიცებულებაში, კერძოდ, ინგლისური ენის დაწყებითი საფეხურის მეექვსე კლასის კურიკულუმში. რაც შეეხება რუსულ ენას, სკოლას მიეცა რჩევა, სამომავლოდ რუსულ ენაშიც გაითვალისწინოს რჩევაში მოცემული საკითხები. 3. სასურველია, კურიკულუმის ქუდში ჩანდეს, საგნის სემესტრული და წლიური საათობრივი დატვირთვა. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -1.სასურველია თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში დაიგეგმოს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა მე7,მე-8,მე-9 კლასი) საგნობრივ კურიკულუმში მკაფიოდ განისაზღვროს კურიკულუმით დაგეგმილი ყველა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის იდეა, მაგ. რის შესახებ უნდა შექმნას მოსწავლემ სტატია.



		სახელმწიფო ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა:- 1.კურიკულუმის შემუშავებისას,მასწავლებელმა გაითვალისწინოს საბაზო საფეხურის საგნობრივი სპეციფიკა (პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული თემები) და სასწავლო პროცესი გაამრავალფეროვნოს შესაბამისი კონტექსტმაგალითებით.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები,მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -1.სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით, 22.07.2024 და 22.07.2025 მდე უნდა მოახდინოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსებისა და გამწოვი კარადის უზრუნველყოფა. აღნიშნული გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმაშიც. სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს განსაზღვრულ ვადებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსებისა და გამწოვი კარადის მობილიზება. ვიდრე სრულად იქნება უზრუნველყოფილი, მანამდე სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად სასურველია ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკის საგნების სწავლების პროცესში მეტი ინტენსივობით იყოს გამოყენებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსებიმარტივიექსპერიმენტებისა და ცდების ჩატარებისთვის. შერჩეული იყოს ისეთი ექსპერიმენტები და ცდები, რომლებიც უსაფრთხო იქნება მოსწავლეებისთვის და არ საჭიროებს გამწოვ კარადას (არარსებობის გამო), ალტერნატივად გამოიყენოს ლაბორატორიაში არსებული ფანჯარა. ასევე შესაძლებელია ზოგიერთი ცდის შესაბამის ღია სივრცეში ჩატარება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისმხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -1.სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმში (ისტორია,მოქალაქეობამე-7,მე-8,მე-9 კლასი), რესურსების სვეტში ჩაიწეროს გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, სხვა რა რესურსი(როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები), რომელსაცგამოიყენებს მასწავლებელი ამა თუ იმ თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დასამუშავებლად. უხეოური ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.გამომდინარე უცხო ენის სპეციფიკიდან ინტერნეტზე წვდომის შემთხვევაში შესაძლებელია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება,



		გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ რესურსებს შეძლებისდაგვარად იყენებენ, ოღონდ ეს სრულად არ ჩანს კურიკულუმში, სასურველია გამოყენებული აუდიო, ვიდეო და ტექსტური ფაილების ბმულების სრული სიის კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითება. აღნიშნული რჩევა სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს ორგანიზაციამ გაითვალისწინა, რაც ვლინდება სკოლის მიერ გამოგზავნილ მტკიცებულებაში, კერძოდ, ინგლისური ენის საბაზო საფეხურისმ ეშვიდე და მეათე კლასის კურიკულუმში. რაც შეეხება რუსულ ენას, სკოლას მიეცა რჩევა, სამომავლოდ რუსულ ენაშიც გაითვალისწინოს რჩევაში მოცემული საკითხები.
ინდიკატორი 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	უხცოვარი ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.სასურველია კურიკულუმში ჩანდეს დიფერენცირებული მიდგომის მაგალითები, მაგ. მოსწავლეს მიეცეს საშუალება, თავად აირჩიოს შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენის ფორმა.
ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.სასურველია, რომ საბაზო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შეფასებები ორიენტირებულ იქნას ცნებებსა და ქვეცნებებზე, იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს, თუ როგორ მოხდა მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრება სხვადასხვა თემატურ კონტექსტში. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.სასურველია, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმში გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად. უხცოვარი ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები არის ზოგადი, სასურველია მეტი კონკრეტიკა,



		მაგალითად, თემის შეფასების რუბრიკები, რომლებშიც ზუსტად აისახება, მოცემულ თემაში გავლილი რა საკითხები ფასდება დ აროგორ. ინგლისური ენის რუბრიკები უფრო მრავალფეროვანია, თუმცა კათედრაზე იგრძნობა ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება, აქედან გამომდინარე, სასურველი და შესაძლებელია ინგლისურიენის გამოცდილების გაზიარება დარუსული ენი სკურიკულუმის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებით გამდიდრება.
ინდიკატორი 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.	უხცოვარი ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა:გამომდინარე უცხო ენის სპეციფიკიდან ინტერნეტზე წვდომის შემთხვევაში შესაძლებელია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება, გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ რესურსებს იყენებენ, ოღონდ ეს სრულად არ ჩანს კურიკულუმში, სასურველია გამოყენებული აუდიო, ვიდეო და ტექსტური ფაილების ბმულების სრული სიის კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითება. აღნიშნული რჩევა სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს ორგანიზაციამ გაითვალისწინა, რაც ვლინდება სკოლის მიერგ ამოგზავნილ მტკიცებულებაში, კერძოდ ინგლისური ენის საბაზო საფეხურის მეშვიდე და მეთექვსმეტე კლასის კურიკულუმში. რაც შეეხებ არუსულ ენას, სკოლას მიეცა რჩევა, სამომავლოდ რუსულ ენაშიც გაითვალისწინოს რჩევაში მოცემული საკითხები.



ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -1.ვინაიდან სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით სკოლამ 22.07.2024 და 22.07.2025 მდე უნდა მოახდინოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის საჭირო მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა კურიკულუმის განსახორციელებლად და აღნიშნული გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმაში. სასურველია მოხდეს განსაზღვრულ ვადებში სკოლის უზრუნველყოფა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის საკმარისი მატერიალური რესურსით. ვიდრე სრულად იქნება უზრუნველყოფილი საჭირო მატერიალური რესურსებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად, სასურველია, ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკის საგნების სწავლების პროცესში მეტი ინტენსივობით იყოს გამოყენებული ელექტრონული რესურსები, სიმულაციები, ვირტუალური ლაბორატორიის ბმულები. ასევე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსები გამოიყენონ მარტივი ექსპერიმენტებისა და ცდების ჩატარებისთვის.
--------------------	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.სასურველია, რომ სახვით და გამოყენებით ხელოვნების პროექტული სწავლების კურიკულუმში მითითებულ იქნას გრიფირებული სახელმძღვანელო და სათანადო გვერდები. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ როგორც გასულ, ისე მიმდინარე სასწავლო წელს არ დამდგარა მუსიკის პროექტული სწავლების საჭიროება, რის გამოც სკოლას არ აქვს წარმოდგენილი მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმი. სასურველია, რომ სკოლამ მაინც წარმოადგინოს მუსიკის პროექტულ სწავლებასთან დაკავშირებული რაიმე დოკუმენტი (მაგალითად, პროექტის გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმაში შეიტანოს



		შესაბამისი სახელმძღვანელო, შეფასების კრიტერიუმები ცნებების მიხედვით). აღნიშნული რჩევა, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს, ორგანიზაციამ ნაწილობრივ გაითვალისწინა, კერძოდ სკოლის მიერ გამოგზავნილმე-10 კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში მოცემულია სახელმძღვანელოს გვერდები, თუმცა თავად სახელმძღვანელოს გამომცემლობა მითითებულიარ არის. ამავე დროს, სკოლას არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტი მუსიკის პროექტული სწავლების შესახებ. უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.სასურველია კურიკულუმში ჩანდეს, რამდენი საათი ეთმობა თითოეული თემის გავლას.სასურველია,რომ კომპლექსური დავალების ნაცვლად შესაბამის ქვეთავში ეწეროს შემოქმედებითი პროდუქტი. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისმხრიდან სკოლას მიეცა რჩევა:-1.სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში (ისტორია,საქართველოს ისტორია, გეოგრაფია,მოქალაქეობა) სავალდებულო სასწავლო თემები და სამიზნე ცნებები გაწერილი იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. კურიკულუმში გაუმჯობესებას საჭიროებს ძირითადი კონტექსტ მაგალითი, ქვეცნებები, ქვესაკითხები, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.სასურველია პროექტის ჯამური საათობრივი დატვირთვა ნაჩვენები იქნას კურიკულუმში. მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -1.გასაუბრებისას გაირკვა, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი არ დაიწყეს საკითხთა იმ თანმიმდევრობით, როგორც წარმოდგენილ კურიკულუმებში ჰქონდათ. ამიტომ რჩევაა, კურიკულუმებშიც ასახონ ეს ცვლილება, ან სასწავლო პროცესი წარმართონ იმ თანმიმდევრობით როგორც გეგმაში უწერიათ. სასურველია საგნობრივი კურიკულუმი შეესაბამებოდეს მიმდინარე სასწავლო პროცესს.



		სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტისმხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების დაგეგმვისას, მეტი ყურადღება დაეთმოს საგანთა შორის ინტეგრირების პროცესს. უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტისმხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.თითოეული კლასის კურიკულუმში გაწერილია მხოლოდ ერთი-ორი შემოქმედებითი პროდუქტი, თუმცა საგნის მასწავლებელთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ რეალურად მეტს ახორციელებენ, რისი ასახვაც კურიკულუმში სასურველია. 2. სასურველია, კურიკულუმის ქუდში ჩანდეს, საგნის სემესტრული დაწლიური საათობრივი დატვირთვა გარდა ამისა, სკოლის მიერ გადმოზავნილ დოკუმენტაციაში, კერძოდ საგაკვეთილო ცხრილში იკითხება საშუალო საფეხურის რუსული ენის საათობრივი დატვირთვა, თუმცა ეს ინფორმაცია არ არის ასახული 2024-2025 წლის საათობრივი განაწილების დოკუმენტში, სასურველია, აღნიშნული ინფორმაცია ამ დოკუმენტშიც აისახოს. 3.სასურველია,კურიკულუმის თემების გრაფაში ჩანდეს, რამდენი საათი ეთმობა თითოეული თემის გავლას. 4.სასურველია, კურიკულუმში მითითებული იყოს კონკრეტული აქტივობების აღწერა, რომლებსაც მასწავლებელი ახორციელებს წლის განმავლობაში, მაგ:თემატური პოსტერი, სხვა საგნებთან ინტეგრირებული პროექტი და მისთან. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა:-1სასურველია თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში დაიგეგმოს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. აგრეთვესასურველია მე-10 კლასის კურიკულუმში (გეოგრაფია, მოქალაქეობა) ჩანდეს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის იდეა. 2 . სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში, მითითებული იყოს თითოეული თემისთვის დათმობილი საათების სავარაუდო რაოდენობა.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები,მათ შორის	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -1.ვინაიდან სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 22.07.2024 და 22.07.2025 მდე უნდა მოახდინოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსებისა და გამწოვი კარადის



	საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	უზრუნველყოფა და აღნიშნული გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმაშიც. სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს განსაზღვრულ ვადებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსებისა და გამწოვი კარადის მობილიზება. ვიდრე სრულად იქნება უზრუნველყოფილი, მანამდე სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად, სასურველია, ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკის საგნების სწავლების პროცესში მეტი ინტენსივობით იყოს გამოყენებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსები მარტივი ექსპერიმენტებისა და ცდების ჩატარებისთვის. შერჩეული იყოს ისეთი ექსპერიმენტები და ცდები, რომლებიც უსაფრთხო იქნება მოსწავლეებისთვის და არ საჭიროებს გამწოვ კარადას (არარსებობის გამო), ალტერნატივად გამოიყენოს ლაბორატორიაში არსებული ფანჯარა. ასევე შესაძლებელია ზოგიერთი ცდის შესაბამის ღია სივრცეში ჩატარება. უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.გამომდინარე უცხო ენის სპეციფიკიდან ინტერნეტზე წვდომის შემთხვევაში, შესაძლებელია, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება. გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ რესურსებს შემდეგისდაგვარად იყენებენ, ოღონდ ეს სრულად არ ჩანს კურიკულუმში, სასურველია, გამოყენებული აუდიო, ვიდეო და ტექსტური ფაილების ბმულების სრული სიის კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა:-1.სასურველია პროექტულ სწავლება საგან მოქალაქეობაში გამოყენებულ იქნეს სასწავლო რესურსი, რომელიც არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.
ინდიკატორი 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.სასურველია კურიკულუმში ჩანდეს დიფერენცირებული მიდგომის მაგალითები, მაგ: მოსწავლეს ეძლევა საშუალება, თავად აირჩიოს შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობისა და მისი წარდგენის საშუალებები და მეთოდი.



ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: - 1.სასურველია, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტულ სწავლებაში შეფასებები ორიენტირებულ იქნას ცნებებსა და ქვეცნებებზე, იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს, თუ როგორ მოხდა მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრება მოცემულ პროექტთან მიმართებით. უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -1.შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები არის ზოგადი, სასურველია, მეტი კონკრეტიკა, მაგალითად, თემის შეფასების რუბრიკები, რომლებშიც ზუსტად აისახება, მოცემულ თემაში გავლილი რა საკითხები ფასდება და როგორ. ინგლისური ენის რუბრიკები უფრო მრავალფეროვანია, თუმცა კათედრაზე იგრძნობა ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება, აქედან გამომდინარე, სასურველი და შესაძლებელია ინგლისური ენის გამოცდილების გაზიარება და რუსული ენის კურიკულუმის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებით გამდიდრება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -1.უმჯობესია, საშუალო საფეხურზე, პროექტული სწავლება მოქალაქეობაში, პროექტის შეფასების რუბრიკის შედგენისას განისაზღვროს, პროექტის შეფასების კრიტერიუმები (კონტენტი/შინაარსი, მდგრადობა, პრობლემის იდენტიფიცირება, კრეატიულობა, ჯგუფების ჩართულობა, თანამშრომლობა და სხვა),
ინდიკატორი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -1. შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმით განსაზღვრული ქულები ჩაშლილი სახით დაკონკრეტდეს. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -1.სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.



ინდიკატორი 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში,	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -1.რომ სახვით და გამოყენებით ხელოვნების პროექტული სწავლების კურიკულუმში მითითებულ იქნას გრიფირებული სახელმძღვანელო და სათანადო გვერდები. აღნიშნული რჩევა, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს, ორგანიზაციამ ნაწილობრივ გაითვალისწინა, კერძოდ სკოლის მიერ გამოგზავნილმე-10 კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში მოცემულია სახელმძღვანელოს გვერდები,თუმცა თავად სახელმძღვანელოს გამომცემლობა მითითებული არ არის. უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტისმხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -2.გამომდინარე ეუცხო ენის სპეციფიკიდან ინტერნეტზე წვდომის შემთხვევაში შესაძლებელია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება, გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ რესურსებს იყენებენ, ოღონდ ეს სრულად არ ჩანს კურიკულუმში, სასურველია გამოყენებული აუდიო, ვიდეო და ტექსტური ფაილებისბმულების სრული სია კურიკულუმის რესურსების გრაფაში იყოს მითითებული. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისმხრიდან სკოლას მიეცა რჩევა:-1.სასურველია, თითოეული თემის დამუშავებისას გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, როგორც ციფრული, ისე მატერიალური სახით.
ინდიკატორი2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისმხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -1.სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით სკოლამ 22.07.2024 და 22.07.2025 მდე უნდა მოახდინოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის საჭირო მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა კურიკულუმის განსახორციელებლად. სკოლას აღნიშნული გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმაში. სასურველია მოხდეს განსაზღვრულ ვადებში სკოლის უზრუნველყოფა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის საკმარისი მატერიალური რესურსით. ვიდრე სრულად იქნება უზრუნველყოფილი საჭირო მატერიალური რესურსებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად, სასურველია, ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკის საგნების სწავლების პროცესში მეტი

	რაოდენობის გათვალისწინებით;	ინტენსივობით იყოს გამოყენებული ელექტრონული რესურსები, სიმულაციები, ვირტუალური ლაბორატორიის ბმულები. ასევე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსები გამოიყენეონ მარტივი ექსპერიმენტებისა და ცდების ჩატარებისთვის.
--	--------------------------------	--

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ-ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია 2024 წლის 23 ოქტომბრის კორესპონდენციები N1370508, N1367478, რომლებიც ეხება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით. კერძოდ, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს, ორგანიზაციამ გაითვალისწინა პირველ, მესამე და მეოთხე სტანდარტში ექსპერტის მიერ გაცემული რჩევების ნაწილი. კერძოდ: გამოაცხადა ვაკანსია დასკვნის რჩევებში ასახულ საგნებში (გარდა „მე და საზოგადოებისა“), შეიმუშავა სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების დადგენის მექანიზმის დოკუმენტი, შეიტანა ცვლილება სამოქმედო გეგმის ამოცანებში, შეიძინა ვიდეოთვალი, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კვალავაც მიმართა საპირფარეოს სკოლის შიდა სივრცეში მოწყობის მიზნით. რჩევების გათვალისწინების პრაქტიკა მეტყველებს სკოლის მხრიდან გასათვალისწინებელი რჩევების სისრულეში მოყვანის მზაობაზე. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს, ორგანიზაციამ გაითვალისწინა მეორე სტანდარტში ექსპერტების მიერ გაცემული რჩევების დიდი ნაწილი. კერძოდ: ყველა იმ საგანში, მე და საზოგადოების გარდა, რომელსაც არ ასწავლის შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის წარმომადგენელი, ან ასწავლის კომპეტენცია დაუდასტურებელი მასწავლებელი, ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, უცხოურ ენაში - (რუსული), მათემატიკაში, მუსიკაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში გამოაცხადა ვაკანსია, რასაც ადასტურებს teacher.jobs.ge -ზე განთავსებული ვაკანსიები; -არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას საგნობრივ კურიკულუმებში მთლიანად ან

ნაწილობრივ მოხდა რჩევების გათვალისწინება, რაც მიუთითებს დაწესებულების მხრიდან დასკვნის პროექტში წარმოდგენილ რჩევებზე სკოლის მზაობას, რომ გაითვალისწინონ ექსპერტების მხრიდან გაცემული რჩევები მომავალშიც. გათვალისწინებული რჩევების ტიპი საგნობრივ კურიკულუმში: თემის/საკითხის გავლისთვის საჭირო ჯამური საათების რაოდენობის მითითება, თემატურ ბლოკებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ყოველი თემის დასასრულ კომპლექსური ტიპის დავალებების ასახვა, შუალედური მიზნების გამრავალფეროვნება, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი საგნობრივი სასწავლო პროექტების ასახვა, სხვადასხვა კომპონენტების განახლება-გადამუშავება საგნობრივ სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემების შესაბამისად, დოკუმენტის საერთო ჩარჩოში მუშაობა, სარეკომენდაციო თემათა რაოდენობის გადახედვა და გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარე თითოეული თემის ფარგლებში ქვეცნებებისა და ქვესაკითხების სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად დაზუსტება, თემებისთვის შეფასების რუბრიკებით გამრავალფეროვნება, შემაჯამებელი დავალების ტიპების მეტად ორიენტირება მოსწავლის ანალიტიკური აზროვნების განვითარებაზე, შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმით განსაზღვრული ქულები ჩაშლილი სახით დაკონკრეტება, მარტივი ცდების ჩატარებისთვის სკოლაში არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსების მეტი ინტენსივობით წარმოდგენა, ელ.რესურსებით გამრავალფეროვნება, გრიფირებული სახემძღვანელოებისა და საკითხების შესაბამისი გვერდების ასახვა, სახელმძღვანელოს ავტორის ასახვა და ა.შ.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, რომ აცხადებს სრულ მზაობას დასკვნაში მოცემული რჩევები გავითვალისწინოს ეტაპობრივად საქმიანობის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად პირველი სტანდარტი შეფასდა სრულად შესაბამისად, მესამე სტანდარტი - სრულად შესაბამისად, მეოთხე სტანდარტი - სრულად შესაბამისად, მეორე სტანდარტი - სრულად შესაბამისად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, შეთანხმებული სამეურვეო საბჭოსთან (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 7 სექტემბერი 2023 წ.) და დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ (სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N7 11 სექტემბერი. 2023წ.) და წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილსაც.

სსიპ-ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის მისიაა აღზარდოს წიგნიერი, შემოქმედი, კრიტიკულად მოაზროვნე, კომუნიკაბელური, ტოლერანტი, წარმატებული, ზნეობრივად, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თავისუფალი მოქალაქეები; მისცეს მათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რითაც ხელს შეუწყობს სოციალურ მათ ადაპტირებას; შექმნას შესაბამისი გარემო კომუნიკაციის ახალი ინფორმაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტურად ათვისების უნარის განვითარებისათვის; მოსწავლეებში დანერგოს სახელობო განათლება და პროფესიული განვითარების მიმართულებით მისცეს ალტერნატიული არჩევანი.

სკოლის მისიიდან გამომდინარეობს სკოლის ხედვა და ორივე კომპონენტთან თანხვედრაშია სკოლის **ღირებულებები**:

- პროფესიონალიზმი-საქმის სიყვარული და ერთგულება, მუდმივად ზრუნვა პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე;
 - გუნდურობა - განვითარების სწრაფი ტემპისა და ამ გზით საზოგადოებრივი სიკეთის შექმნის უზრუნველსაყოფად, სასკოლო საზოგადოებაში გუნდურობის პრინციპის დამკვიდრება და წახალისება;
 - სიახლეების მიმღებლობა-თანამედროვე მიდგომების დანერგვა სასწავლო პროცესში, ინიციატივების სწორი შეფასება და განხორციელებაში ხელშეწყობა;
 - პასუხისმგებლიანობა - სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მიერ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გათავისება და ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნაში საკუთარი წვლილის შეტანა;
- სსიპ-ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ასევე წარმოადგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე, სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, ვინაიდან სკოლის ფილოსოფია მიზნად ისახავს მოსწავლეში ისეთი გლობალური უნარების განვითარებას, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს თავისუფალ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში. სკოლის მისიაში ასახული სახელობო განათლებისა და პროფესიული განვითარების ალტერნატივის ზრდის დანერგვისთვის მზაობა, არაფორმალური განათლების ფარგლებში საცხოვრებელ თემში განხორციელებული აქტივობები, სკოლაში მშობელთა ჩართულობის მაგალითები ცხადყოფს სკოლის როლს, ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას სკოლის, ოჯახის და თემის პასუხისმგებლობის გადანაწილების გზით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლა აცნობიერებს, რომ მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესი თანამონაწილეობას, გუნდურობას, სასკოლო საზოგადოების სრულ ჩართულობას და გაზიარებულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. სკოლის მისიაზე, ხედვაზე და ღირებულებებზე მუშაობის პროცესში ჩართული იყო ყველა რგოლი: სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფის მიერ შემუშავებული პროექტი წარედგინა სკოლის დირექტორს, რომელმაც შესათანხმებლად გადასცა სამეურვეო საბჭოს, ხოლო საბოლოოდ დასამტკიცებლად წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს (სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N7 11 სექტემბერი. 2023წ.). ასევე ჩატარდა მშობელთა გაერთიანებული კრება სადაც, განიხილული იყო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტი. დამტკიცებისას გათვალისწინებული იქნა სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომელთა მოკვლევა განხორციელდა სპეციალურად შემუშავებული კითხვარის საშუალებით. მოსწავლეთა და მშობელთა საერთო კრების ოქმიდან იკითხება, რომ პროექტის შემუშავებისათვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, განისაზღვრა ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაო, მოხდა სამუშაო ჯგუფის ფორმირება, ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტის დროს, ორგანიზაციამ წარმოადგინა ზემოხსენებული ჯგუფის შექმნის ბრძანება (დირექტორის ბრძანება N2-24ა) და მათი განხორციელებული საქმიანობის ამსახველი მტკიცებულებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მიზნით სკოლაში 2023 წლის 19 სექტემბერს ჩატარებულია სკოლის საერთო კრება (მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა), სადაც მოხდა ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) გაცნობა. სკოლის ამჟამინდელი მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის ფოიეში. ასევე გაზიარებულია სკოლის ვებ-გვერდზე. აგრეთვე, სკოლაში ვიზიტისას განხორციელებული გასაუბრებები, გამოთქმული მოსაზრებები, ადასტურებს სკოლის ფილოსოფიის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის დამტკიცებული მისია, ხედვა და ღირებულებები გასაჯაროვებულია მეთოდოლოგიის შესაბამისად, გამოკრულია სკოლის ფოიეში და გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს N 448 (15.09.2005) ბრძანების საფუძველზე სკოლა დაფუძნებულია, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სკოლის სრული სახელწოდებაა - სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N7 11სექტემბერი 2023წ.;
- სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- კითხვარი სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისათვის;
- სასკოლო პროექტები;
- მოსწავლეთა და მშობელთა საერთო კრების ოქმი (N1);
- სკოლის ვებ-გვერდი (<https://skolebi.emis.ge/schools/1549?schoolName=>);
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (18 იანვარი 2024 წელი);
- სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 7 სექტემბერი 2023 წ.;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება N2-24ა, სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლაში სასწავლო გეგმის განხორციელების (სკოლის ფილოსოფიის მეთოდოლოგიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სტრატეგიული გეგმის) შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (Mes 2 24 000002-24ა);

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

საავტორიზაციო განაცხადის თანდართულ დოკუმენტაციაში სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (2023 წლის 13 სექტემბერი, ოქმი N3). სტრატეგიული დაგეგმვა, როგორც პროცესი, წარმოდგენილია როგორც ციკლი, რომელიც იწყება გეგმების შემუშავებით, შემდეგ, სკოლის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება მონიტორინგი და შეფასება (აღნიშნული ჩანს ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან მიმართებითაც), გათვალისწინებულია შედეგების ანალიზის წარდგენის ფორმები და მათზე რეაგირების პროცედურები. სკოლის მიერ წარმოდგენილი „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში“ დაზუსტებულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები, ხოლო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია აღნიშნული დოკუმენტების თანხვედრა. მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N2-24ა) გამოყოფილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

სკოლას წარმოდგენილი აქვს „სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის“ დოკუმენტი, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ 13.09.2023 წელს. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია 7 მიზანი, რომელიც შესაბამისობაშია მისიასთან, ხოლო ამოცანები შესაბამისია მიზნებთან. ადმინისტრაციასთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, არსებული მდგომარეობის შეფასების, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების, სტრატეგიული მიზნების ფორმულირების დროს სასკოლო საზოგადოება მაქსიმალურად იყო ჩართული.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

სკოლის სამოქმედო გეგმა ერთწლიანია. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და მოიცავს კონკრეტულ, დროში გაწერილ შესრულებად აქტივობებს. მასში მოცემულია მისიისა და ხედვის შესაბამისი მიზნები, ამოცანები, რესურსები. განსაზღვრულია ვადები და პასუხისმგებელი პირები. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმებიდან ჩანს, რომ სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს (SWOT-ანალიზის საფუძველზე) და თვითშეფასებას ახდენს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. *სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.*

სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის თითოეული მიმართულებისთვის განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. პასუხისმგებლობა დელეგირებულია სასკოლო საზოგადოებაზე, რაც რეალისტურს ხდის სკოლის მიერ დაგეგმილ აქტივობებს.

სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რესურსები. სკოლის მიერ თვითშეფასების დროს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ჰქონდა გატანილი სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რომელთა შესრულების ვადად განისაზღვრა 2025 წლის სამოქმედო გეგმაში ასახვა. შესაბამისად, 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში არ იკითხებოდა აღნიშნული ინფორმაცია. ავტორიზაციის პროცესში, ექსპერტების სკოლაში ვიზიტის დროს (2024 წლის 19-20 სექტემბერი) ორგანიზაციამ წარმოადგინა მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია აქტივობების გაზომვადი ინდიკატორები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის 13 სექტემბერი, ოქმი N3;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მასზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება N2-24ა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება წელიწადში ერთხელ, წინასწარ შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს შესაბამისად. ამასთან, სკოლაში სასწავლო გეგმის განხორციელების (სკოლის ფილოსოფიის მეთოდოლოგიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების (სკოლის ფილოსოფიის მეთოდოლოგიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და

გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სტრატეგიული გეგმის) შემუშავების თანმიმდევრობის მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ 2024 წლის 24 ივნისის ბრძანება N2-25 ცხადყოფს აღნიშულ პროცესებზე პასუხისმგებელი პირის/ჯგუფის არსებობასა და მათ საქმიანობას (აგრეთვე, ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის განხორციელებული მონიტორინგი).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე);

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციაზე, ამიტომ ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ განხორციელებულა.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე);

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციაზე, ამიტომ ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ განხორციელებულა.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე).

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციაზე, ამიტომ ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ განხორციელებულა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- საჯარო სკოლაში სასწავლო გეგმის განხორციელების (სკოლის ფილოსოფიის მეთოდოლოგიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების (სკოლის ფილოსოფიის მეთოდოლოგიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სტრატეგიული გეგმის) შემუშავების თანმიმდევრობის მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ 2024 წლის 24 ივნისის ბრძანება N2-25;
- 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.*

სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ 28.05.2024 წლის ბრძანებაში (N2-12) განსაზღვრულია დირექტორის, უფროსი მასწავლებლის, ბუღალტრის, საქმისწარმოებლის, ექიმის, დარაჯის, დამლაგებლის, ცეცხლფარეშის სამუშაო აღწერილობა. აღნიშნულ დოკუმენტში ბიბლიოთეკარის სამუშაო აღწერილობა ცალკე ერთეულად არ იკითხება, რადგან სკოლას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი. თუმცა, ბიბლიოთეკარის საქმიანობა შეთავსებული აქვს საქმისმწარმოებელს. თანამშრომელთა ფუნქციების აღწერილობაში, საქმისმწარმოებლის სამუშაო აღწერილობა მკაფიოდ განსაზღვრავს იმ ფუნქციებს, რომელიც ბიბლიოთეკარს გააჩნია. ვტორიზაციის ვიზიტის დროს, სკოლის კადრთან გასაუბრებით დგინდება, რომ საქმისმწარმოებლის მიერ მოხდა თანამდებობრივი ინსტრუქციების გაცნობა. პერსონალის უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ყველა მასწავლებლებთან არის გაფორმებული ხელშეკრულება სტატუსების მიხედვით და ითვალისწინებს სრულყოფილად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს. ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ სკოლის სტრუქტურის გრაფიკული სქემის დოკუმენტში წარმოდგენილია სკოლის სტრუქტურული ერთეულები: სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია, დირექტორი, ბუღალტერი, ადმინისტრაციული პერსონალი, საქმის მწარმოებელი, სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო, კათედრები (დაწყებითი, ჰუმანიტარული, ტექნიკური), ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

კოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლაში არის პასუხისმგებლობების გადანაწილებაზე და გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი კულტურა. რომელიც ხელს უწყობს უფლება-მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა გადანაწილებას სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის. სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის სტრუქტურა მოიცავს დირექციას, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინარულ კომიტეტს, მოსწავლეთა თვითმმართველობას. საჯარო სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

სტრუქტურული ერთეულების მართვის ეფექტიანობა დაფუძნებულია ანგარიშგების პრინციპზე. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები რეგულირდება საქართველოს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N 448 ბრძანებით.

სკოლაში შექმნილია 3 საგნობრივი კათედრა: ჰუმანიტარული (ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა, ისტორია); ტექნიკური (მათემატიკა, საბუნ. მეცნიერებები, გეოგრაფია); დაწყებითი კლასების (დაწყებითი, სპორტი, ისტი და ესთეტიკური აღზრდა). კათედრები ყოველწლიურად ირჩევენ თავმჯდომარეს. კათედრების ფუნქციებია: საგნობრივი ჯგუფის საგნების სწავლების კოორდინირება, კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, სახელმძღვანელოების შერჩევა, ზრუნვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაზე, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, ასევე სკოლის ავტორიზაციის განაცხადზე მომუშავე და პროცესებზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურის გრაფიკული სქემა;
- თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ბრძანებები ფუნქციების დაკისრებაზე;
- თანამშრომელთა სია, EMIS-Teachers-07-07-2024;
- სკოლაში დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე ავტორიზაციის განაცხადზე მომუშავე და პროცესებზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება 2024 წლის 21 ივნისის N2-24;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 1 დეკემბრის, მასწავლებლების შიდა შეფასების და მისი პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება N2-27;

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. სკოლაში მართვის პროცესები ხორციელდება სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, სკოლის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციების მიხედვით. ასევე, პროცესები წარმართულია აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე სკოლასა და სკოლაში დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების და შინაგანაწესის შესაბამისად. რეგულაციები ეყრდნობა და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობას. ყურადღებას მოითხოვს, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერის დოკუმენტი, რომელშიც არ ფიქსირდება ბიბლიოთეკარის შტატი. თუმცა,

აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობები გაეწერილია საქმისმწარმოებელთან, რომელსაც დირექტორი ბიბლიოთეკარის ფუნქციებსაც უთავსებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი სადაც, პრევენციის მიზნით მკაფიოდაა გაწერილი კვალიფიციური კადრების მოზიდვა, შერჩევა, შენარჩუნება; ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც მასწავლებელს, გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო, არ შეუძლია აცნობოს სკოლას გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით, ინტერვენციის მიზნით, სკოლა იღებს შესაბამის ზომებს და 22-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ჩანაწერის შესაბამისად ხდება: 1. საათების და ფუნქციების გადანაწილება; 2. უახლოესი სკოლიდან შესაბამისი პედაგოგის დროებით მოწვევა; 3. პედაგოგის შერჩევა დისტანციური სწავლებისთვის (მუხლი 22-ს განმარტება). სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე და არც სპეციალური მასწავლებელი, თუმცა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში იკითხება მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში გაწერილი მასწავლებლის მოზიდვა, შერჩევის წესი.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით.

სკოლის პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურებით, რაც გულისხმობს კვალიფიციური კადრების მოზიდვას და შენარჩუნებას. ვაკანტური ადგილის დასაკავებლად სკოლის მიერ კონკურსის გამოცხადება ხდება ვაკანსიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.teacherjobs.ge), სადაც გაწერილია სკოლის მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კომისიის შემადგენლობა. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით. საკონკურსო კომისია კვალიფიკაციის და სხვა გაწერილი მოთხოვნების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის შერჩევის შესახებ. შერჩეულ კანდიდატთან დირექტორი აფორმებს შრომითი ხელშეკრულებას. სკოლაში კონკურსის წესით მიღებულია ახალი თანამშრომელი, სკოლის ექიმი, რომელსაც აქვს პედაგოგის დიპლომი და ოჯახის ექიმის კვალიფიკაცია. კონკურსის შემთხვევაში გაფორმებულია შესაბამისი ოქმი. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება. ზოგიერთი კადრის (დარაჯი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში) მიღება ხდება

დირექტორთან გასაუბრებით. სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი “ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა”, სადაც ყველა პოზიციისთვის აქვს გაწერილი ერთიანი მიდგომა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით. ადამიანური რესურსების და პერსონალის მართვის სხვა დოკუმენტებშიც არის წარმოდგენილი მოქმედი საშატატო ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები. საავტორიზაციო ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა ბუღალტერის აყვანის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად არასაშტატო ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც. პირად საქმეებში თანამშრომლებს აქვთ ცნობები ნასამართლეობის შესახებ, ასევე სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ, ნარკოლოგიური აღრიცხვის, პირის მსჯავრდებისა და ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. ადგილზე ვიზიტისას პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია როგორც ხელშეკრულებებში, ისე ვაკანსიების განაცხადებში. დასაქმებული პერსონალი არის დაკავებული პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციით, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ თვითშეფასებისას წარმოდგენილ მტკიცებულებების ფარგლებში წარმოდგენილი eSchool-ის ბაზა, რომელშიც ასახულია მასწავლებლების სტატუსი. ასევე, ვიზიტის პერიოდში, სკოლამ მატერიალური ფორმით შენახული კადრის კვალიფიკაციის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოადგინა. ორგანიზაციაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 19-20 სექტემბერს, ამ დროისთვის პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედარება ვერ მოხერხდა eSchool-ის ბაზაში ასახულ საათობრივ დატვირთვასთან, რადგან აღნიშნული პერიოდისთვის eSchool-ის ბაზა აწარმოებს განახლებას და არ არის სრული ინფორმაცია ასახული. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, პირადი საქმეებში მოცემული ინფორმაციის შედარება მოხდა სკოლის თვითშეფასების პერიოდში გადმოგზავნილ წინა წლის eSchool-ის ბაზასთან. თუმცა, არც ამ დოკუმენტში იძებნებოდა მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა (სადაც ჩანს, ვინ რომელ საგანს ასწავლის). სკოლამ ვიზიტისას მტკიცებულებად წარმოადგინა საათობრივი დატვირთვა, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი. საათობრივი დატვირთვიდან ირკვევა, რომ სკოლის კადრი, გარდა მათი საკვალიფიკაციო შესაბამისობის საგნებისა, დატვირთულია სხვა საგნობრივი ჯგუფების საათებით. გადამოწმდა სკოლის მიერ ვაკანსიების დადების ისტორია <https://teacherjobs.ge>-ზე, ვიზიტის პერიოდში და სწავლის

დაწყებამდე რიგ საგნებში აქვთ გამოცხადებული ვაკანსია. ორგანიზაცია ფაქტს ხსნის მაღალმთიან რეგიონში მდებარებით, გარშემო ტერიტორიებზე მაცხოვრებლების ნაკლებობით. სკოლამ მიმართა „ასწავლე საქართველოს პროგრამას“, თუმცა მიიღო პასუხი პროგრამის შეჩერების თაობაზე. კურიკულუმის შეფასების ნაწილში (II სტანდარტი) დაწვრილებით გაიწერა ექსპერტების რჩევები თუ რომელ საგნებში, რა შეიძლება გააკეთოს სკოლამ კადრის მოსაზიდად. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას** ორგანიზაციას რჩევის სახით მიეცა, რომ ყველა იმ საგანში, რომელსაც არ ასწავლის შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის წარმომადგენელი, გამოაცხადოს სისტემატიური ვაკანსია, მიმართოს ახლომდებარე სოფლებს და იქ მოიძიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრი, განიხილოს ონლაინსწავლების პრაქტიკა და დისტანციურად მომუშავე კადრის აყვანის შემთხვევაში გადაწყვეტილება შეუთანხმოს სამინისტროს. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ აღნიშნული რჩევის გათვალისწინების პრაქტიკის მტკიცებულებებად წარმოადგინა <https://teacherjobs.ge>-ზე სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის მიერ გამოცხადებული ვაკანსიები, კერძოდ შემდეგ საგნებში: ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, უცხოური ენა (რუსული).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

სკოლაში ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლების ჩართულობას, გუნდურობას, პასუხისმგებლობათა გადანაწილებას, უფლებათა დელეგირებას, რაც დგინდება სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით. საგნობრივი კათედრის წევრები ჩართულები არიან როგორც კურიკულუმის შემუშავების პროცესში ასევე, გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და სასკოლო სხვადასხვა აქტივობებს (მოსწავლეთა, მასწავლებელთა, სასკოლო პროექტებიდან კარგად ჩანს). სასკოლო საზოგადოების წევრთა ინიციატივების, წინადადებების, საჭიროებების განხილვა და შერჩევა ხდება პედსაბჭოზე, კათედრებზე, თვითმმართველობის სხდომებზე, მშობელთა კრებებზე. ინიციატივები ასევე მხარდაჭერილია სკოლის დირექციის მიერ. სკოლა ჩართული იყო „USAID –ის საბაზისო განათლების პროგრამა“-ში, სკოლას ჰყავს ლიდერი მასწავლებლები, რომლებიც ესწრებოდნენ ქოუჩინგის ტრენინგებს და მიღებულ გამოცდილებებს უზიარებდნენ კოლეგებს. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მათთან თანამშრომლობით სკოლა გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებსა თუ პროექტებს. სკოლა ჩართული იყო პროექტში „მეგობრობის 19 ხიდი“, რომლის მიზანი იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლის მოსწავლეთა დაახლოება და ერთობლივი საინტერესო აქტივობების განხორციელება. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოების, საგნობრივ კათედრების, მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, კლუბების მუშაობის, დისციპლინარული კომიტეტის მუშაობისას გუნდურობისა და სკოლის საჭიროებაზე მორგებულ პრაქტიკას. ავტორიზაციის პროცესში, სკოლაში ვიზიტისას, კადრებთან გასაუბრება და სკოლის დოკუმენტაციის შესწავლა ცხადყოფს, რომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართული, როგორც თვითშეფასების პროცესში ასევე, სკოლის ფილოსოფიის შემუშავება-გაზიარებასა თუ სხვა მმართველობით-საორგანიზაციო საკითხებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის თანამშრომელთა წახალისების სახეები და მექანიზმები ასახულია სკოლის შინაგანაწესში. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის სკოლას აქვს წახალისების პრაქტიკა, როგორიცაა: მადლობა, სიგელით დაჯილდოვება. სკოლის თანამშრომელთა, ასევე მოსწავლეთა წარმატებებისა და წინსვლის დამადასტურებელი დოკუმენტები/ სიგელები გამოკრულია სკოლის ღია სივრცეში. სკოლის კადრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ორგანიზაციაში, თანამშრომელთა აღიარების, ურთიერთმხარდაჭერის და პროფესიული წინსვლის გაზიარების მიზნით, სკოლამ მონაწილეობა მიიღო „ზოგადი განათლების რეფორმის“ ფარგლებში ჩატარებულ რაიონულ კონფერენციაში წარმატებული პრაქტიკის გაზიარებისთვის. ასევე, მონაწილეობა აქვთ მიღებული მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოსთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის დონეზე მოწყობილ ღონისძიებაში. სკოლას აქვს სოციალური გვერდი, სადაც ქვეყნდება ყველა ინფორმაცია სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ, ასე ხდება ერთის მხრივ, წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და ამავე დროს ქვეყნდება ინფორმაცია მოსწავლეთა თუ პედაგოგების წარმატებების შესახებ (მაგალითად, პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობა, კლუბური მუშაობა და სასკოლო ღონისძიებებისა და კონკურსების ამსახველი მასალები).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვაკანსიების საკონკურსო დოკუმენტაცია;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა (საათობრივი დატვირთვა);
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- წახალისების ბრძანებები;
- კონკურსის ოქმები. (ექიმის კონკურსის ჩაშლის);
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიში;
- თანამშრომელთა მიღების საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- თანამშრომელთა სია, EMIS-Teachers-07-07-2024;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს სხდომების ოქმები;
- მოსწავლეთა და მშობელთა საერთო კრების ოქმი;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა-2024-2025ს.წ.გლოლის საჯარო სკოლა;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- ინიციატივის დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია მასწავლებლის საქმიანობის იდენტიფიცირება, მხარდაჭერა და პროფესიული განვითარება. ასევე ხდება მასწავლებლების მიერ თვითშეფასების კითხვარის შევსება, რის საფუძველზეც განისაზღვრება საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, საჭიროებები. მასწავლებლები ყოველწლიურად ესწრებოდნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, საგნობრივი და პროფესიული მოდულების მიხედვით. დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა აპირებს დანერგოს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის კიდევ უფრო ეფექტურ მექანიზმები (მაგ., მასწავლებლების მიერ თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მიმართულებების

დაჯგუფება იმ ფასილიტატორ მასწავლებლებთან, რომელთაც ეს მიმართულება თვითშეფასებაში ძლიერ მხარედ უწერიათ, და ამ კომპონენტებზე ფოკუსირებული ურთიერთდასწრება-შეფასების პრაქტიკის დანერგვა); გასაუბრებისა თუ სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტშიც, საუბარია მასწავლებლის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებზე, თუმცა არ არის დაზუსტებული, როგორ ხდება სკოლაში დასაქმებული სხვა დანარჩენი პერსონალის შეფასება და საჭიროებების დადგენა. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას ორგანიზაციას მიეცა რჩევა, რომ შეიმუშაონ სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების დადგენის მექანიზმი. სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ აღნიშნული რჩევის გათვალისწინების მტკიცებულებად წარმოადგინა სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

თვითშეფასების პროცესში, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტი, რომ ვინაიდან სკოლა არის პირველადი ავტორიზაციის პროცესში ამ ეტაპზე პერსონალის საჭიროებების კვლევა არ ხორციელდება და, რომ ჩატარებული საჭიროებათა კვლევის საფუძველზე 2024-2025 სასწავლო წლისთვის სკოლა დაგეგმავს პროფესიული განვითარების სტრატეგიას. ორგანიზაციაში საავტორიზაციო ვიზიტისას შესწავლილ იქნა 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ცხადად არ არის გათვალისწინებული აღნიშნული საკითხი. რადგან სკოლას აქვს მზაობა და თვითშეფასების პროცესში თავად ასახელებს შესრულების ვადებს, **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას ორგანიზაციას მიეცა რჩევა, რომ მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ გაწეროს, რას და როგორ აპირებს აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისად. მაგალითად, შესაძლებელია ასახოს სამოქმედო გეგმის იმ ამოცანაში, რომელიც მოიცავს „ახალი პროგრამების /სამოქმედო გეგმების შემუშავება და დანერგვას.“ სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ აღნიშნული რჩევის გათვალისწინების მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც იკითხება „პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესების“ ამოცანა შესაბამისი აქტივობებით/შინაარსით, პასუხისმგებელი პირით, რესურსებით, განსაზღვრული პერიოდით და შესრულების ინდიკატორებით.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

სკოლა თვითშეფასებაში აფიქსირებს, რომ მუდმივად უწყობს ხელს პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და წინსვლას, რაც გამოიხატება ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობით, საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებით. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა ტრანზიციის ხელშეწყობის მექანიზმის დოკუმენტი, სადაც გაწერილია თუ როგორ უწყობს ორგანიზაცია ხელს მასწავლებელთა კარიერულ ზრდას, ამ მიზნით, სკოლაში ხდება მასწავლებელთა წახალისება, მიმართავენ ურთიერთდასწრების, კრიტიკული მეგობრის, კათედრებზე საკითხის განხილვის მექანიზმს, ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, უზიარებენ თავიანთ გამოცდილებებს. აღნიშნული პრაქტიკა დასტურდება, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას, ასევე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „მასწავლებელთა ტრანზიციის ხელშეწყობის მექანიზმი“. სკოლაში, ვაკანსიის შემთხვევაში დირექტორის ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტით ცხადდება ღია კონკურსი ვაკანსიის ვადების და პირობების გათვალისწინებით, იქმნება შესაბამისი კომისია, ვაკანსია განთავსდება teachersjobs.ge-ზე, კანდიდატის შერჩევა ხდება ორ ეტაპად, საბუთების გადარჩევითა და გასაუბრების გზით. ასევე სკოლა თანამშრომლობს პროგრამასთან „ასწავლე საქართველოსთვის“, რომლის ფარგლებშიც გასულ წლებში მოხდა ორი თანამშრომლის მიღება მასწავლებლის პოზიციაზე, სკოლამ უზრუნველყო მათი ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან. სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტის დროს გასაუბრება მოხდა „ასწავლე საქართველოს“ პროგრამის ფარგლებში სკოლაში მომუშავე კადრთან, ორივე მასწავლებელი ადასტურებს, რომ თანამშრომლის მიღების შემთხვევაში სკოლა დაეხმარება მას, თავი იგონონ ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრებად. აღნიშნული კომენტარის მტკიცებულებად კი ასახელებენ სკოლაში დღემდე მუშაობის ფაქტს (ორივე მასწავლებელი საცხოვრებლად გადავიდა სოფელ გლოლაში და დარჩა სკოლის მასწავლებლად). ახალი თანამშრომლის წარდგენა ხდება სასკოლო საზოგადოებასთან. შრომითი ხელშეკრულების დადებისას, საქმისმწარმოებლის მიერ ხდება სკოლის შინაგანაწესის, ინსტრუქციებისა თუ უფლება-მოვალეობების გაცნობა, რაც კადრს დაეხმარება თემთან ურთიერთობაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

საავტორიზაციო ვიზიტისას ორგანიზაციის წევრებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია, კერძოდ სკოლა ყოველთვის იღებს მონაწილეობას სასკოლო პროექტებში, როგორც სასკოლო სივრცით და ინვენტარით, ასევე რესურსებით. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ ზოგჯერ წახალისება ზეპირსიტყვიერია. თუმცა, თვითშეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკითხება წახალისების ფორმები და მაგალითები, როგორიცაა: -შინაგანაწესში გაწერილი წახალისების ფორმები, დღესასწაულებთან დაკავშირებით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; 2. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა; -საზოგადოებრივი კათედრისა და ყველა მოსწავლეზე, დირექტორის ბრძანებით, გამოცხადებული „მადლობა“ მოწმობს შინაგანაწესის წინამდებარე მუხლის პრაქტიკაზე; -ეკოკლუბი „შოვის“ პროექტ „ჩვენი ტყე ჩვენი მომავალია“ ფარგლებში სკოლის თანამონაწილეობა და ადგილობრივ სასტუმრო „სანსეტ შოვის“ დირექტორთან კლუბის პროექტის თანადაფინანსების მიზნით სკოლის დირექტორის წერილი; -აღსანიშნავია 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულებისას მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება, კერძოდ, სკოლას სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ჰქონდა ეზოს მოპირკეთება, რომელიც შესრულდა მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, ხოლო სკოლა მათ დაეხმარა საკუთარი თუ ადგილობრივ თვითმმართველობასთან შუამავლობით მოპოვებული რესურსებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა-2024-2025ს.წ.გლოლის საჯარო სკოლა;
- ბრძანება-მადლობის შესახებ;
- ინიციატივის დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მასწავლებელთა ტრანზაქციის ხელშეწყობის მექანიზმი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- პერსონალის შეფასების და საჭიროების კვლევის მექანიზმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.*

სკოლაში, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, შექმნილია დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, სადაც პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. აღნიშნულ დოკუმენტში იკვეთება პროცესული მიდგომა. სკოლის მართვის პროცესში ჩართულია სკოლის ყველა სტრუქტურული რგოლი: პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. მათი მიზნობრივი მუშაობა ხელს უწყობს სკოლის განვითარებასა და სწავლების ხარისხის ამაღლებას. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას დგინდება, რომ აღნიშნული დოკუმენტით მუშაობის პრაქტიკამ აჩვენა მისი გაუმჯობესებისა და სკოლის საჭიროებებზე კიდევ უფრო მეტად მორგების აუცილებლობა, რაც რეალისტურია რადგან აღნიშნული პროცესები საჭიროებს მუდმივ განვითარებასა და დახვეწას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. *იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;*

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სკოლის შიდა დოკუმენტებში: სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, საქმისწარმოების წესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და სხვა. სკოლას შემუშავებული აქვს და სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აქვს საჯარო სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტი, სადაც გაწერლია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ამავე დოკუმენტში გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნები, რეგულაციები, განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სასწავლო წლის დაწყებისთვის წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმას ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. გარდა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის/ჯგუფისა პროცესებში აქტიურად ჩართულობა ჩანს ადმინისტრაციის, კათედრებისა თუ მოსწავლეთა თვითმმართველობის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

სკოლამ წარმოადგინა სკოლის შინაგანაწესი, მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, მშობლებთან ურთიერთობის დებულება, მშობლებთან ჩატარებული კრების ოქმი. აღნიშნული დოკუმენტაცია მოწმობს, რომ სკოლაში შემუშავებულია თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილი გასაჩივრების შიდა წესი, რომელიც ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სადამრიგებლო საათის ფარგლებში ხდება მოსწავლის და მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის უფლებებისა და მოვალეობების გაცნობა. ასევე, მშობელი ეცნობა სკოლის შინაგანაწესს და მოსწავლის ეთიკის კოდექსს. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლის დირექცია საჩივარზე რეაგირებას ახდენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების“ შესაბამისად. შინაგანაწესი, სკოლის თანამშრომლებთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ჩანაწერს, რომ მასწავლებელს, აგრეთვე მშობელს და მოსწავლეს უფლება აქვთ, უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, გაასაჩივრონ მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და არამართლზომიერი ქმედებები, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში არჩეულია დისციპლინური კომიტეტი და ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, რომელიც ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომების შესახებ გადაწყვეტილების სამეურვეო საბჭოში გასაჩივრებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს: სკოლის შინაგანაწესი, მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია, მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება. აღნიშნული დოკუმენტებით რეგულირდება მოსწავლის, პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები, ვალდებულებები და გასაჩივრების პროცედურები, რომელთა სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობა-ხელმისაწვდომობა დასტურდება, როგორც მშობელთან ხელშეკრულების დადებით, ასევე წლის დასაწყისში ჩატარებული კრების ოქმებითა და სადამრიგებლო საათის შინაარსით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის-უზრუნველყოფის-პოლიტიკა;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- შინაგანაწესი-გლოლის საჯარო სკოლა;
- დისციპლინური კომიტეტის არჩევა;
- სამეურვეო საბჭოს არჩევნების ოქმი;
- თვითმართველობა 2023;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები.

სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და უკუკავშირის მიღებას ახდენს სხვადასხვა მექანიზმებით: კითხვარების საშუალებით (რომელიც სკოლამ, უკვე შევსებული სახით, წარმოადგინა საავტორიზაციო ვიზიტისას), მშობლებთან კომუნიკაცია ხდება დამრიგებლების მეშვეობით, ელექტრონული ჟურნალების საშუალებით. სკოლის კადრთან გასაუბრებით დგინდება, რომ მშობლებისაგან მიღებულ უკუკავშირზე ხდება შესაბამისი რეაგირება. სასკოლო საზოგადოება გასაუბრებისას ასახელებს და მტკიცებულებებად წარმოადგენს თვითმმართველობასთან შეხვედრის ოქმს, სადაც სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებით ინფორმირების მაგალითები იკითხება. საინფორმაციო შეხვედრა მოსწავლეებთან ჩატარდა თემაზე: მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედსაბჭო. შეხვედრაზე განიხილეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სკოლის მართვის პროცესში ჩართულობას და მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიურ მუშაობას. სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი აღწერს ფორმალური და არაფორმალური განათლების თანაკვეთის წარმატებულ პრაქტიკას: საგან მოქალაქეობაში გადის სკოლის მართვის საკითხებს, შემდგომ მოსწავლეებთან ერთად, თანატოლგანმანათლებლობის ფარგლებში, სასკოლო საზოგადოებას აცნობს ინფორმაციას სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციასა და მართვის პროცესებში მონაწილეობის საშუალებებზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მოსწავლეთა და მშობელთა საერთო კრების, დისციპლინური კომიტეტის ოქმებიდან იკითხება სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, როგორც სამეურვეო საბჭოს წევრი მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში, ასევე მონაწილეობას იღებს სასკოლო

სასწავლო გეგმის შეთანხმებაში. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა დასტურდება სკოლის ფილოსოფიის შემუშავება-განხორციელებისა და სტრატეგიულ დაგეგმარებაში, თვითმმართველი ორგანოსა თუ დირექტორის არჩევნებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭო არჩევა (ოქმი);
- მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა (ოქმი);
- დისციპლინარული კომიტეტის არჩევა (ოქმი);
- მოსწავლეთა და მშობელთა საერთო კრების ოქმი;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღწერა - გლოლის საჯარო სკოლა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში).*

სკოლა მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად შემდეგნაირად მუშაობს: სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია და ფუნქციონირებს სკოლის მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: სკოლის დირექტორი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის პერიმეტრისა და სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა სართულების მიხედვით. დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა, სხვენის სახურავის ხის კონსტრუქციები დამუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით. გამოყოფილია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც პერიოდულად აწყობს ცრუ განგაშს და მოსწავლეებს/მასწავლებლებს ასწავლის ხანძრის დროს უსაფრთხოების ქცევის წესებს.

სკოლას არ ყავს მანდატური. თუმცა სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უფლებამოსილი პირი, რომელსაც წარმოდგენილი აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ 2020 წლის იანვარში გაცემული სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი ტრენინგ-მოდულის წარმატებით დაძლევას.

სკოლის უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა. სათვალთვალო კამერები დამონტაჟებულია შენობის ორივე სართულზე, ასევე ეზოში და აკონტროლებს მის შიდა და გარე პერიმეტრს. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა განთავსებულია იზოლირებულ, დაცულ სივრცეში - სამასწავლებლოში და განსაზღვრულია მასზედ მეთვალყურეობის პასუხისმგებელი პირი (საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უფლებამოსილი პირი). ავტორიზაციის პროცესში, ექსპერტთა სკოლაში ვიზიტისას, ვიდეოსათვალთვალო სისტემის საფუძვლიანი დაკვირვება-შესწავლა მოხდა. შემოწმდა თითოეული კამერის რეზოლუცია ფარავდა თუ არა ყველა სასკოლო სივრცეს. ვიდეოკამერებით მუდმივად კონტროლდება სკოლის თითქმის ყველა სივრცე, თუმცა სკოლის პირველი სართულიდან მეორე სართულზე ასასვლელი კიბის უკან შესაძლოა იყოს 3-4 კვადრატულმეტრიანი ბუნდოვანი წერტილი. სკოლა არგუმენტს ასახელებს, რომ კამერებზე რთულად გასარჩევი აღნიშნული სივრცე მუდმივად კონტროლდება მასწავლებლების მიერ, რადგან სამი საკლასო ოთახი უყურებს ამ ადგილს და შესვენების დროს დამრიგებლებს, მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვის მიზნით, განსაზღვრული აქვთ საკლასო ოთახებთან ყოფნა. გასაუბრებისას ორგანიზაცია, საკუთარი ინიციატივით გამოთქვამს მზაობას

დამატებითი ვიდეოთვალის დაყენებაზე. კიბის წინ, სამივე საკლასო ოთახის კარის მდებარეობა და მათი კამერებში ხილვადობა ადასტურებს სკოლის არგუმენტის უტყუარობას, თუმცა საგაკვეთილო პერიოდისა და მასწავლებლის კლასში გადაადგილების შემთხვევაში, შესაძლოა ეს სივრცე უმეთვალყურეოდ დარჩეს, ამიტომ **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას ორგანიზაციას მიეცა რჩევა, რომ პირველი სართულიდან მეორე სართულზე ასასვლელი კიბის უკან უჯრედის კონტროლისთვის განათავსოს დამატებითი ვიდეოთვალი, ხოლო მის დამონტაჟებამდე საგაკვეთილო პერიოდის განმავლობაში შეიმუშაოს სასკოლო კადრის, კონკრეტულად ამ ადგილიზე მორიგებისთვის განკუთვნილი, განრიგი და ფუნქციები. სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ აღნიშნული რჩევის გათვალისწინების მტკიცებულებად წარმოადგინა ვიდეოთვალისა და მისი მონტაჟისთვის საჭირო დამატებითი ინვენტარის (კაბელი, კვების ბლოკი და ა.შ.) 23.10.2024 წლის თარიღით შეძენის ინვოისი.**

სკოლას აქვს შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც თვითშეფასების დროს წარმოდგენილ პირვანდელ დოკუმენტაციას შესატანხმებელი იყო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, ამიტომ სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი ჰქონდა შსს.სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის უფროსთან მიმართვის წერილი (27/06/2024, MES 0 24 0000762761), ამავე წერილით მოთხოვნილია დასკვნა სახანძრო უსაფრთხოებაზე და ორგანიზაცია ელოდებოდა პასუხს. სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა „სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლიგს საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმასთან“ ერთად მტკიცებულება - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის წერილი, რომელშიც იკითხება რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განხილულ იქნა სკოლის მიერ შესატანხმებლად წარდგენილი სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა. „აღნიშნული გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ.“ ვიზიტის დროს, დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტები სკოლას აქვს გადმოგზავნილი 20 სექტემბერს, როგორც დამატებითი მტკიცებულებები. სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მე-3 სტანდარტის, 3.4. კომპონენტის 3.4.1. კრიტერიუმი გატანილი ჰქონდა, როგორც მეტწილი შესაბამისობა და გეგმავდა მიმდინარე წლის დეკემბრამდე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას უფლებამოსილ ორგანოსთან. თუმცა, საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში უკვე შეთანხმებული გეგმა იქნა წარმოდგენილი, ამიტომ ინდიკატორი უკვე დაკმაყოფილებულია და აღარ საჭიროებს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ასახვას.

ზემოხსენებულში აღინიშნა, რომ სკოლას აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში იმყოფებოდა

შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესამოწმებლად უფლებამოსილი პირი, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოხდა შემოწმება და სკოლის მხრიდან დოკუმენტების მიწოდება. ავტორიზაციის ვიზიტის დროს სკოლა ელოდებოდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნის პასუხს.

სკოლას აქვს, სამხარაულის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული, შენობის მდგრადობის დასკვნა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისათვის სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით საჭირო ინვენტარით და პირველადი დახმარების საშუალებებით, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის. სამედიცინო კაბინეტში შესაბამისი რესურსების უწყვეტობის მიზნით სკოლამ წარმოდგინა ინვოისი, რომელშიც ჩამოთვლილია მედიკამენტები, რომელთა რაოდენობაც სამედიცინო კაბინეტში ან ნაკლებია ან ვარგისიანობის ვადა ეწურება უახლოეს მომავალში. სკოლას ჰყავს ერთი სკოლის ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება და მისი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ის ტელეფონის ნომრები, რომლებზეც უნდა მოხდეს დაკავშირება პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას ჰყავს დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობაზე/რეფერირებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაინსტალირებულია სახანძრო სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია ყველა საკლასო ოთახში, სამასწავლებლოსა და კაბინეტებში. სკოლის შენობის ორივე სართულზე თვალსაჩინოაა გამოკრული ევაკუაციის გეგმა, ასევე სახანძრო სამაშველო სამსახურის ცხელი ხაზის ნომრები. თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და

საგანგებო სიტუაციების სამსახურის ტელეფონის ნომრები. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი უკონტაქტო შემოწმებით ახდენს კონტროლს, რომ სკოლის ტერიტორიაზე არ იქნას შემოტანილი აკრძალული ნივთები. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილებას აკონტროლებს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და მორიგე მასწავლებელი. სკოლას აქვს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა. სათვალთვალო კამერების სისტემა განთავსებულია უცხო პირებისგან ხელმიუწვდომელ ადგილას - სამასწავლებლოში და მუდმივად მეთვალყურეობის ქვეშაა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. *სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.*

სკოლაში მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის მომსახურე პერსონალის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ორგანიზაციას განხორციელებული აქვს არაერთი აქტივობა. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, პრიორიტეტული თემის ადამიანის უფლებების ფარგლებში სკოლამ განახორციელა სასკოლო პროექტი „უფლებები ყველასთვის“. პროექტის ფარგლებში მოწვეული იყვნენ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები. სკოლაში დამკვიდრებულია ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების აღნიშვნის ტრადიცია, რომელიც ხორციელდება მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა ერთობლივი დაგეგმვით, თანამშრომლობითა და მონაწილეობით. სკოლაში ჩატარდა აქტივობები ბუღინგის და კიბერბუღინგის პრევენციის მიზნით. ასევე პედაგოგებსა და მოსწავლეებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე; „ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენება“ და „ციფრული წიგნიერება“. გასული წლის 3 აგვისტოს მომხდარი შოვის ტრაგედიის შედეგად მიღებული სტრესის აღმოფხვრის მიზნით სკოლაში 4 თვის განმავლობაში იმუშავა წითელი ჯვრის ფსიქოლოგთა ჯგუფმა, რომელმაც უზრუნველყო ფსიქო - ემოციური სასკოლო გარემო. ამჟამად, სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სკოლა გამოთქვამს მზაობას და ასახელებს, რომ აქვს საშუალება მათი/მისი მოწვევის. როგორც უკვე ითქვა, მასწავლებლებს აქვთ განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მხარდაჭერისთვის გადამზადება შოვის ტრაგედიის შემდგომ, ასევე საგანგებო სიტუაციებში, ფიზიკური უსაფრთხოების წესების გარდა მათ შეისწავლეს ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების კონტროლის საშუალებები. აღნიშნული გამოცდილება შესაძლოა სკოლამ გამოიყენოს ერთიანი მიდგომის შესაქმნელად, ამიტომ ორგანიზაციას მიეცეს რჩევა, რომ სასურველია ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების სასკოლო გარემოს შექმნის ხელშემწყობი დოკუმენტის გაწერა, რომელიც იქნება სასკოლო საჭიროებებსა და მზაობაზე მორგებული. მაგ., სკოლა ასახელებს, რომ მიმდინარე წელს საგანგებო სიტუაციებში სასწავლო იმიტირებული აქტივობების ჩატარებას

აპირებს, რათა ბავშვებმა ფიზიკურ უსაფრთხოებასთან ერთად ისწავლონ პანიკასთან გამკლავება. სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ბმული, რომელშიც იკითხება კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფების მართვის სიმულაციურ სწავლებებში სკოლის ჩართულობა. შესაძლებელია აღნიშნული პრაქტიკის ტრადიციად ქცევა და სასწავლო წლის განმავლობაში მათი შესრულების დუკუმენტში ასახვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

ხელშეკრულებების შემოწმებით დგინდება, რომ სკოლას ჰყავს ერთი დამლაგებელი. სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ხელების წყლითა და საპნით დაბანის წესები. ასევე, ორივე სართულზე განთავსებულია ანტისეპტიკური საშუალებებით სავსე დისპენსერები. საპირფარეოები უზრუნველყოფილია ხელის ჰიგიენის საშუალებებით. (თხევადი საპნით და ხელის გასამშრალეხელი ერთჯერადი ხელსახოცებით). სკოლაში გამოკრული დასუფთავებისა და მისი მონიტორინგის განრიგი მეტყველებს, რომ სისტემატურად ხდება დასუფთავების შემოწმება. საკლასო ოთახები და სკოლის საერთო სარგებლობის ფართები სუფთად გამოიყურება, რაც მეტყველებს სანიტარული დასუფთავებასა და განიავების პრაქტიკაზე. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ფანჯარა, რომელიც იხსნება. სკოლაში სადებიზინფექციო საშუალებების შენახვა/დასაწყობება უზრუნველყოფილია სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში, იგი ხელმისაწვდომია მხოლოდ მასზე პასუხისმგებელი პირებისთვის. სკოლის ორივე სართულზე განთავსებული ნაგვის ურნები, სატერფულის გახსნის ფუნქციით, რომელშიც ჩაფენილია ერთჯერადი პარკები. სკოლა სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, რომლის ვარგისიანობა შემოწმებულია შესაბამისი სამსახურის მიერ. ასევე ეზოში დამონტაჟებულია ტექნიკური წყლის ავზი. დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია საჯარო სკოლის სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის წესებზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის ექიმი. სკოლას აქვს 4 საპირფარეო (აქედან ორი ადაპტირებული) შესაბამისი სველი წერტილებით. ასევე ექიმის კაბინეტსა და პირველ სართულზე დამატებითი სველი წერტილი, სადაც ხელმისაწვდომია სუფთა წყალი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.

მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. სკოლას აქვს ყველა მოსწავლის მშობლისგან მიღებული თანხმობა ფოტო/ვიდეო მასალის სამუშაო სივრცეში და გამოცდილების გასაზიარებლად ციფრულ და არაციფრულ გარემოში გამოსაქვეყნებლად. სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, თუმცა არა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **ორანიზაციას მიეცეს რჩევა, რომ აიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს კადრის დანიშნვიდან არაუგვიანს 10 დღეში.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლაში არსებული ინფორმაცია დაცულია და არ ხდება მათი გამჟღავნება. მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები ინახება დაკეტილ კარადაში. სკოლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე. სკოლის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი გამოიყენება სკოლის მიერ მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა დამუშავების პროცესში და ვრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე. მოსწავლეთა პირადი საქმეები, საარქივო დოკუმენტაცია, მათ შორის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები ინახება დირექტორის კაბინეტთან არსებულ ოთახსა და დირექტორის კაბინეტში განთავსებულ კარადაებში, რომელიც ხელმისაწვდომი არ არის გარეშე პირებისთვის. ადგილის დეფიციტის გამო, მოსწავლეთა დაარქივებული შემაჯამებლები და მსგავსი დოკუმენტაცია ინახება სკოლის ბიბლიოთეკაში არსებულ კარადაში, რომელიც იკეტება. სკოლის კომპიუტერებზე დაყენებულია პაროლი. სკოლა ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, ინფორმაცია და შესაბამისად მასზე წვდომა აქვთ უფლებამოსილ პირებს სისტემაში შესვლის სპეციალური პაროლის მეშვეობით. სკოლაში გამოყოფილია ინფორმაციულ ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლაში მიმდინარე პროცესების უსაფრთხოებისათვის რეგულარულად ხდება მონიტორინგი. შედეგების გათვალისწინებით ხდება მომავალი სამოქმედო გეგმის შემუშავება. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, შემუშავებულია ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმი. მრჩეველთა საბჭო მუშაობს სხვადასხვა საკითხებზე მაგ., საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას აკეთებს. სკოლაში შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი, აქტიურად მუშაობს. სკოლის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღება მახვილდება ბუნებრივ კატასტროფების (მეწყერზე, მიწისძვრაზე) პრევენციულ ღონისძიებებზე. სკოლაში დაგეგმილია „საქართველოს კარიტასის“ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით საგანგებო სიტუაციებში ქცევის ინსცენირება/სიმულაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება-რეგულირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება-სკოლის დარაჯის დანიშვნის შესახებ;
- ბრძანება-უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- კომპ ტექნ.მართვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს დასკვნა;
- წერილი საგანგებო მართვის სამსახურს;
- ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟი და სხვენის ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით დამუშავების დოკუმენტაცია;
- მანდატურის სამსახურის მიერ გაცემული სერთიფიკატი;



- საგანგებო მართვის გეგმა-გლოლის საჯარო სკოლა;
- წერილი 2141096;
- ვიდეოს ლინკი ფსიქოლოგების მუშაობაზე <https://fb.watch/sOmseDd5iG/>;
- https://www.facebook.com/story.php?story_fbid=899444105614576&id=100066469854072&rdid=plxTbwsaUWGvw5li.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

სკოლა სარგებლობს სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან სარგებლობის უფლებით გადაცემული 5636 კვ.მ ფართზე არსებული ერთი შენობა-ნაგებობით. შენობა არის ორ სართულიანი, ნულოვან სართულზე განთავსებულია სარდაფი, პირველ სართულზე ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები, სამედიცინო კაბინეტი, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. მეორე სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, საკლასო ოთახები. თითოეულ საკლასო თუ არასაკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახებში ერთადგილიანი მერხები და სკამებია, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარია განთავსებული. აღსანიშნავია სკოლის ძველი მატერიალური რესურსების ფუნქციურობა, საკლასო ოთახებში განთავსებულია უამრავი რუკა და სხვადასხვა თვალსაჩინოებები, რაც მეტყველებს სკოლის მხრიდან როგორც თანამედროვე საკლასო რესურსების სიმრავლეზე ასევე, მათ მოვლა-პატრონობაზე. სკოლას არ აქვს შიდა სპორტული მოედანი, თუმცა საკლასო ოთახში, სპორტულ მოედანზე და დერეფანში იგეგმება სპორტული აქტივობები. სკოლას აქვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობისთვის საკმარისი სასწავლო და მატერიალური რესურსი. სკოლას აქვს შესაბამისი ინვენტარი. სკოლის შენობა თითქმის საუკუნეს ითვლის, არატიპიურია, ამიტომ მეორე სართულს არ გააჩნია პანდუსი ან ლიფტი, არასაკმარისი ოთახების გამო სკოლაში არ არის რესურს ოთახი, თუმცა გასაუბრებისას დირექტორი აღნიშნავს, რომ სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში პირველ სართულზე ერთ-ერთ საკლასო ოთახში შესაძლებელია რესურსოთახის მოწყობა. საერთო სარგებლობის სივრცეები, ყველასთვის ხელმისაწვდომობის მიზნით, სკოლას განთავსებული აქვს პირველ სართულზე. სველი წერტილები განთავსებულია პირველ სართულზე, ხოლო კონკრეტულად, საპირფარეშო ეზოში. 4 საპირფარეშოდან 2 ადაპტირებულია, მათ შორის არის ადაპტირებული სველი წერტილიც. სკოლას მიეწოდება ინტერნეტი, ელექტროენერგია და წყალი. სკოლაში არ არის ბუნებრივი აირი, რადგან მთლიანად დასახლებაში არ არის ე.წ. გაზიფიცირება, ამიტომ სკოლა თბება შეშის ღუმელების საშუალებით, ყველა ოთახში დაყენებულია ფართის შესაბამისი რაოდენობის შეშიც გამათბობლები.

სკოლის ეზო კეთილმოწყობილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის ეზოში არის გარე სპორტული კეთილმოწყობილი მოედანი. სკოლის ლაბორატორიები აღჭურვილია სხვადასხვა ინვენტარით, რომელთა შესწავლა-შეფასებაც მოხდა საგნობრივი ექსპერტების მიერ კურიკულუმის რესურსების შესაბამისობით. სკოლის კუთვნილებაშია სასწავლო

პროცესის წარმართვისთვის და მოსწავლეთა რაოდენობისთვის საჭირო ინვენტარი: კომპიუტერები, დაფები, ერთადგილიანი მერხები და სხვ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლას აქვს დიდი და ლამაზი ეზო, საერთო სარგებლობის სივრცე (დერეფნები), რომლებიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, ასევე - კომპიუტერული ოთახი. მოსწავლეები სარგებლობენ ბიბლიოთეკაში არსებული სასკოლო სახელმძღვანელოებით და მხატვრული ლიტერატურით. მათ მომსახურებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარის მოვალეობის შემთავსებელი. ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე მოსწავლეები, კლასების მიხედვით სარგებლობენ კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერებით. კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები ერთ სივრცეშია, რომლის მოხმარების წესი, განრიგი და ცხრილი ითვალისწინებს, რათა არ მოხდეს მოსწავლეთა ამ ლაბორატორიების ერთდროულად მოხმარების საჭიროება. სკოლაში ვიზიტისას მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, სასწავლო პროცესზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სკოლის სივრცე აბსულუტურად გათვლილია მოსწავლეთა სარგებლობაზე, სპორტულ-მატერიალური რესურსები, თუ თავად სივრცეები მოსწავლეთა მხრიდან იმგვარადაა ათვისებული, რომ უკვე თავად ზრუნავენ აღნიშნული სივრცეების შექმნა-გამოყენება-მოწესრიგებაზე (მაგ., მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით მოხდა ეზოს კეთილმოწყობა).

სკოლის პირველსართულზე შენობის შიდა სივრცეში განთავსებულია სველი წერტილი, სადაც სუფთა წყალია ხელმისაწვდომი. თუმცა, საპირფარეშოები სკოლის ეზოში მდებარეობს. სკოლის დირექტორი გასაუბრებისას თავად აღნიშნავს, რომ მაღალმთიან რეგიონში მდებარეობის გამო მოსწავლეებისთვის საკმაოდ დიდ დისკომფორტს წარმოადგენს ზამთარში საპირფარეშოსთვის გარე სივრცის გამოყენება. საპირფარეშოს შიდა სივრცეში მოსაწყობად სკოლამ მიმართა, როგორც სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წერილობითი ფორმით, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს ზეპირსიტყვიერად. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას ორგანიზაციას მიეცა რჩევა, რომ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კვალავაც მიმართოს საპირფარეშოს სკოლის შიდა სივრცეში მოწყობის მიზნით. რათა იქნებ სამომავლო ბიუჯეტში მოხდეს შესაბამისი რესურსების

გათვალისწინება და ინიციატივის დაკმაყოფილება. სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ აღნიშნული რჩევის გათვალისწინების მტკიცებულებებად წარმოადგინა 18.10.2024-ში სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის სახელზე მიწერილი წერილი MES 2 24 0001334929, რომელშიც იკითხება ავტორიზაციის ექსპერტის რჩევის გათვალისწინება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლას აქვს ოთახი სადაც განთავსებულია საბიბლიოთეკო რესურსები, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის მიხედვითაც ხდება საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება. სკოლას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი, თუმცა განსაზღვრული ჰყავს მისი მოვალეობის შემთავსებელი - საქმისმწარმოებელი, რომელსაც ხელშეკრულებით აქვს დავალებული ამ სერვისით სარგებლობის გაწევა. აღნიშნული ინფორმაცია იკითხება, როგორც ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში, ასევე საქმისმწარმოებლის ფუნქციებსა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოვალეობებში. ბიბლიოთეკის დათვალიერებამ, წიგნების გაცემის დოკუმენტაციის შესწავლამ, საბიბლიოთეკო კატალოგმა, მხატვრული ლიტერატურის ფლობის დამადასტურებელმა დოკუმენტაციამ, სასკოლო თუ ლიტერატურული წიგნების საბიბლიოთეკო წესით დამუშავების შემოწმებამ და ა.შ. აჩვენა, რომ საქმისმწარმოებელი ბიბლიოთეკარის შეთავსებულ ძირითად მოვალეობებს ასრულებს და მოსწავლეთათვის ბიბლიოთეკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ხელმისაწვდომი სივრცეა მათ საგანმანათლებლო სივრცეში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სასკოლო გარემო ინკლუზიურია, გათვლილია სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესების ადამიანზე. სკოლაში არსებული რესურსები საშუალებას იძლევა მოსწავლეთა მრავალფეროვნების გასათვალისწინებლად. სკოლას პირველ სართულზე აქვს პანდუსი, ამიტომ სკოლის მხოლოდ პირველი სართულია ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე პირთათვის. სასკოლო საზოგადოების არცერთ წევრი არ სარგებლობს ეტლით, თუმცა სკოლის ექიმის კაბინეტი, სველი წერტილები, ლაბორატორიები,

რამდენიმე საკლასო ოთახი და ბიბლიოთეკა ზოგადი ინკლუზიური გარემოს შექმნისათვის განთავსებულია პირველ სართულზე. სკოლაში არის ადაპტირებული საპირფარეშოები და სველი წერტილები. სასწავლო პროცესი იგეგმება ისე, რომ რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. სკოლას ამ ეტაპზე არ ერიცხება არც სსსმ მოსწავლე, თუმცა გამოთქვამს მზაობას მის მისაღებად და ასახელებს, რომ სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში, პირველ სართულზე გამოყოფს საკლასო ოთახის სივრცეს რესურსოთახისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლა გასაუბრებისა და სამოქმედო გეგმების ნაწილში ასახელებს, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა საჭიროებს განახლებას, ასევე ღია სპორტული მოედანის რეაბილიტაციას. გასული სამოქმედო გეგმის შესაბამისად სკოლას გათვალისწინებული აქვს ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცია და სკოლის პირველი სართულის შემინვა მოახდინა საკუთარი ხარჯებით, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ერთად კი ეზოს კეთილმოწყობა. სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა კლუბებს და აქტივობებს და ამისთვის არ აქვს სააქტო დარბაზი, თუმცა აქტიურად იყენებს სკოლის საკლასო ოთახებს, დერეფნებს, სპორტულ მოედანს, სკოლის ეზოს, კაბინეტებს. აქტივობების ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. სკოლას აქვს დიდი, ნათელი საკლასო ოთახები და დერეფნები, რომელშიც მოსწავლეებს ეძლევათ სოციალური ურთიერთობების შესაძლებლობა (ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის თამაში, შეკრების, საუბრის შესაძლებლობა). სკოლის დერეფნები გაფორმებულია მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენით: ნახატები, პოსტერები, დიპლომები და სიგელები. სკოლას აქვს დიდი და ლამაზი ეზო, სადაც მოსწავლეებს აქვთ განტვირთვის და დასვენების, ხოლო პედაგოგებთან ერთად ფრინველებსა და მცენარეებზე დაკვირვების და სოციო-კულტურული აქტივობების შესაძლებლობა. სკოლა ცდილობს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები და შეუქმნას მათ კომფორტული სოციო-კულტურული სასკოლო გარემო. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის შენობა-ნაგებობის გეგმა;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ეზოს ფოტო მასალა;
- საქმისმწარმოებელთან დადებული ხელშეკრულება;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღწერა - გლოლის საჯარო სკოლა;
- სკოლის სამოქმედო გეგმა;
- წერილი ინფრასტრუქტურას სველი წერტილების მოშენებაზე.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა საკმარისია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი წარმართვისათვის. სკოლის კომპიუტერული ოთახი აღჭურვილია სკოლის მიერ თვითშეფასების ფარგლებში მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობისთვის საკმარისი კომპიუტერებით. სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები საჭიროების დროს სარგებლობენ აღნიშნული ტექნოლოგიებით, შემუშავებული წესის მიხედვით. სკოლას თვითშეფასებისას ეწერა, რომ შეიმუშავებდა ციფრული განვითარების ერთწლიან გეგმას, რაც უკვე წარმოადგინა ავტორიზაციის ვიზიტის დროს. სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერა-შემოწმებიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა რათა ყველა საგაკვეთილო პროცესი ტექნიკის დახმარებით განხორციელდეს, სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. სკოლაში ასევე ხელმისაწვდომია პრინტერი და პროექტორი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სასკოლო სივრცე მთლიანად დაფარულია WI-FI -ს ქსელით. ინტერნეტის ხარვეზით მოწოდების შემთხვევაში, სკოლა მიმართავს ტექნიკური მომსახურების ცხელ ხაზს (აღნიშნული პრაქტიკა გამოვლინდა ავტორიზაციის ექსპერტების სკოლაში ვიზიტის დროსაც). სკოლაში კომპიუტერული ტექნიკით მომსახურება თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლას შეიმუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც გაიწერილი საჭიროების მიხედვით არსებული ტექნიკის გამოყენება და ცხრილის სახით გამოკრულია კედელზე. კომპიუტერული ლაბორატორიის სივრცეში ასევე არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაც, თუმცა სკოლა მცირეკონტიგენტანია, ამიტომ ლაბორატორიების მუშაობის განრიგი და საგაკვეთილო ცხრილი ცხადყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შეუფერხებლად ხელმისაწვდომობას. ამ ეტაპზე კლასში ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით ისტ-ის გაკვეთილზე თითოეულ ბავშვს

დამოუკიდებელ კომპიუტერთან მიუწვდება ხელი. ციფრული განვითარების გეგმაში ჩანს სკოლის მიერ მოკვლეული ინფორმაცია, რომ მის მოსწავლეებს სახლში არ აქვთ კომპიუტერები, ამიტომ სკოლა მათთვის ერთადერთ სივრცედ რჩება ტექნოლოგიური უნარების განვითარებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს გაწერილი საგაკვეთილო დროის მიღმა მოსწავლისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებისთვის სამუშაო განრიგი (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 13:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე. შაბათს 11:00-დან 15:00 სთ-მდე). სამუშაო სივრცეში არსებულ ტექნიკაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ისტ-ის მასწავლებელი. ციფრული განვითარების გეგმა პასუხობს სკოლაში/თემში არსებულ საჭიროებებს და მორგებულია მოსწავლეთა თუ მასწავლებელთა საჭიროებებს საგანმანათლებლო სივრცეში. ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის ამგვარი დაგეგმარება, ერთიანობაში მოდის და პირდაპირ კავშირშია სკოლის ფილოსოფიის კომპონენტებთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ლაბორატორია;
- ტექნიკის ფლობის დოკუმენტაცია;
- ციფრული განვითარების ერთწლიანი გეგმა;
- საგაკვეთილო ცხრილი;
- ლაბორატორიებით სარგებლობის განრიგი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. საქმისწარმოების წესი აღგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებსაც. საქმისწარმოების საერთო წესში გაწერილია გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის წესები. კორესპონდენციის ნაწილი მუშავდება ელექტრონულად, ნაწილის დამუშავება ხდება მატერიალურად, მაგ., ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალის მეშვეობით. შემოსული და გასული კორესპონდენცია მუშავდება ელექტრონულად. სკოლამ თვითშეფასების პროცესში წარმოადგინა საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელშიც არ იკითხებოდა ინფორმაცია ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით. სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტისას შესწავლილ იქნა ელექტრონული საქმისწარმოებაც, რომლის საქმისწარმოების წესიც სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა 20 სექტემბერს გადმოგზავნილ დამატებით მტკიცებულებებში - „საქმისწარმოება მეთოდოლოგიური დოკუმენტი“, ბოლოს წარმოდგენილ დოკუმენტში იკითხება ელექტრონული საქმისწარმოების შესახებ ინფორმაციაც. სკოლაში იწარმოება და კანონმდებლობით დადგენილი წესით იკინძება და ინახება საბუღალტრო დოკუმენტაცია. ადგილზე ვიზიტისას გადაიხედა თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები და მასში არსებული დოკუმენტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.

სკოლის მართვასა და საქმის წარმოებაში აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები. კერძოდ, სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლა შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას აწარმოებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow მეშვეობით; მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა შესახებ მონაცემები შესულია eschool-ის ბაზაში. სკოლა იყენებს მართვის პროცესისა თუ ინფორმირებისა და სხვადასხვა სახის კომუნიკაციისათვის ელექტრონულ ფოსტებს (outlook, gmail), თუ ელექტრონულს ჟურნალს. მოსწვლეს რომელიც სკოლაში ვერ ცხადდება უტარდება დამატებითი გაკვეთილი teams-ის პორტალის საშუალებით. სკოლა იყენებს outlook-ში არსებული onedrive-ის ღრუბლოვან სივრცეს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი. ვიზიტის პერიოდში გადამოწმებადი ინფორმაციიდან Eschool-ის ბაზაში სრულადაა ასახული სკოლის პერსონალის შესახებ ინფორმაცია. თუმცა, 19-20 სექტემბერს Eschool-ის ბაზაში ხდება ახალი სასწავლო წლისთვის მასწავლებლების საათების, კლასებისა და ხელფასის განახლება, რის ასახვაც საჭიროებს დროს. აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება თითოეული მასწავლებლისთვის ვერ მოხერხდა, რადგან ეს სკოლაზე არ იყო დამოკიდებული, თუმცა სკოლის მხრიდან ცხრილი შეყვანილი იყო.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. მათი მხრიდან შემოსულ დოკუმენტაციაზე რეაგირება ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, სკოლა კვარტალში ერთხელ წარადგენს დეკლარაციებს. შემოსულ კორესპოდენციაზე მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ ათი დღის ვადაში გასცემს შესაბამის წერილობით პასუხს, თანამშრომლობს განათლების სამისტროსთან, ხარისხის მართვის განვითარების ცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი-გლოლის საჯარო სკოლა;

- სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები;
- Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;*

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია პირველადი ინფორმაცია, როგორიცაა: ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი. სკოლის მტკიცებულებებში იძებნება სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება. ვებ-გვერდზე ინფორმაცია განახლებადია (მაგ., ივლისში განახლდა სკოლის ბიუჯეტში ცვლილება). სკოლას შექმნილი აქვს

ფეისბუქ გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლისა და სკოლაში განხორციელებული, მიმდინარე აქტივობების შესახებ. სკოლის მასწავლებლები, საკომუნიკაციოდ იყენებენ ასევე teams-ის პლატფორმას. კლასის დამრიგებლებს, სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებთან და მშობლებთან სწრაფი კომუნიკაციისთვის შექმნილი აქვთ ჯგუფები. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომლის საშუალებითაც მშობლები ეცნობიან ინფორმაციას შვილის/მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობისა და კომუნიკაციისათვის, ასევე, ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში იკვეთება teams-ის პლატფორმის გამოყენების პრაქტიკაც (მოსწავლის მიერ სკოლის გაცდენის შემთხვევაში მასთან დამატებითი სარეკომენდაციო შეხვედრებისთვის, კლუბური მუშაობისთვის და ა.შ.).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ორგანიზაციაში ვიზიტისას, დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ავრცელებს მხოლოდ ისეთი ტიპის ინფორმაციას, რომელიც მიღებული აქვთ ოფიციალურად სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე ან ეფლოუს მეშვეობით ოფიციალური სტრუქტურებიდან, განათლების სამინისტროს სიპებიდან. სოციალურ ქსელში თავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ, მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ოლიმპიადების, კონკურსების, კონფერენციების, ფორუმების შესახებ. ამისათვის გამოიყენება სოციალური ქსელები, საინფორმაციო დაფები, პირდაპირი კომუნიკაცია. აღნიშნული ინფორმაცია ყოველთვის მოწმდება დირექციის მიერ. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლის, მათი მშობლებისა და მასწავლებლისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლა ასახელებს, რომ სამომავლოდ, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს, გამოიყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; თუმცა გასაუმჯობესებლად იკვეთება სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღება-გადამუშავება-გამოყენების პრაქტიკა. სკოლა ღიაა თემთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან კომუნიკაციისთვის და მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას იყენებს სკოლის ფორმალური თუ არაფორმალური განათლების წახალისებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. *სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;*

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/1549?schoolName> სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge , რომლის დათვალიერებითაც ირკვევა, რომ განთავსებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე და ემთხვევა სკოლის სწავლების განხორციელების ენას (სახელმწიფო ენა-ქართული ენა).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. *ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.*

სკოლას აქვს ვებგვერდი რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სკოლის შინაგანაწესი, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, შინაგანაწესი, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, საკონტაქტო ინფორმაცია, გასაჩივრების მექანიზმები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია იკითხება „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესში“, ხოლო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების განთავსებას სკოლა აპირებს ეტაპობრივად).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებგვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- [https://skolebi.emis.ge/schools/1549?schoolName=;](https://skolebi.emis.ge/schools/1549?schoolName=)
- <https://www.facebook.com/samoqalaqoganatlebisklubi.shovi/>

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.*

თვითშეფასების პროცესში სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის მოქმედი ბიუჯეტი, დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვისას ორგანიზაციის მხრიდან გადმოგზავნილ იქნა 2025 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა სახელმწიფო დაფინანსება, ვაუჩერული დაფინანსება (მაღალმთიანი რეგიონის). გარდა ამისა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექიმის თანამდებობრივ სარგოს. სკოლას ეკონომიკური საქმიანობიდან არ აქვს თანხის განკარგვა. სკოლის ბიუჯეტი მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს. გასული წლის სკოლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შესწავლიდან დგინდება რომ ორგანიზაცია ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ბიუჯეტირების პროცესი დინამიურია, საჭიროებებიდან გამომდინარე შესაძლებელია ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, რასაც ადასტურებს 2024 წლის 19 ივნისის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება N108/ნ -ის მიხედვით სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელი ფლოლის საჯარო სკოლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების საფუძველს წარმოადგენს სკოლის საჭიროებების მოკვლევა და განსაზღვა (რაც ასახულია სკოლის სამოქმედო გეგმაშიც). სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. სკოლაში მიმდინარე შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი სისტემატურად მიმდინარეობს, ხდება მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება. წარმოებს ანგარიში სკოლის ფინანსური საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024 წლის ბიუჯეტი;
- ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი;
- 2025 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი, რეფერირების შიდა წესი, გასაჩივრების წესი, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. სკოლის მიერ წლის დასაწყისში გატარებული ღონისძიებები (კლასის საათი, საერთო კრება) მოწმობს, რომ ყველა მოსწავლის თავიანთი უფლებების შესახებ ინფორმირებულობასა და დაცულობაზე. სკოლაში ვიზიტისას მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო დღე იწყება დაცულ და სუფთა გარემოში. კურიკულუმისა და სკოლის რესურსების შესწავლამ ცხადყო, რომ ხორციელდება მოსწავლის ასაკით შესაბამისი სასწავლო პროგრამების გაცნობა, ყველა მათგანს აქვს თანაბარი უფლება და ხელმისაწვდომობა, როგორც სასწავლო რესურსზე ასევე ტექნიკურ საშუალებებზე. არასაგაკვეთილო დროს სკოლა ხელს უწყობს არაფორმალურ განათლებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სსიპ-ის მუნიციპალიტეტის სოფელი გლოლის საჯარო სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის დერეფანში და ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე. ასევე მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, გასაჩივრების წესი ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, სასკოლო რეგულაციები, პოსტერები სხვადასხვა თემაზე (ჯანმრთელობა, ჰიგიენა, ბულინგი) განთავსებულია კედლებზე. სწავლის დასაწყისში ჩატარებული გაერთიანებული კრების ოქმები და სადამრგებლო საათი მოწმობს, რომ მოსწავლეები და მშობლებს გაეცნოთ სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი თუ სკოლის შიდა რეგულაციები. მოსწავლეები თავიანთი უფლებების განხორციელების მექანიზმებს ეცნობიან არაფორმალური განათლების (თვითმმართველობა, კლუბები) ფარგლებშიც.



ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. მოსწავლესთან/მისი კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის მხრიდან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6¹ პუნქტის შესაბამისად, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ყოველწლიურად ფორმდება ხელშეკრულება. სკოლის მხრიდან წინასწარ წარმოდგენილი ხელშეკრულებების ნიმუშებში და ასევე, ავტორიზაციის ვიზიტის ექსპერტების მხრიდან ადგილზე გაცნობილ ნიმუშებში ჩანს, რომ დეტალურადაა გაწერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, ასევე პერსონალური მონაცემების დაცვისა და გამოყენების პირობა და ზოგადი ქცევის წესი/წესები. ხელშეკრულების პირობებზე თანხმობას მოსწავლე/მისი კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს ხელმოწერით, ხოლო ხელშეკრულების ერთი ასლი გადაეცემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მეორე კი ინახება სკოლაში, პასუხისმგებელი პირის მიერ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განცხადებებისა და საჩივრების წარდგენის შიდა წესი;
- მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმი;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- რეფერირებასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია;
- შინაგანაწესი-გლოლის საჯარო სკოლა;
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- <https://skolebi.emis.ge/schools/1549?schoolName=> (სკოლის ვებ-გვერდი)

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;*

სკოლას აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის კანონმდებლობით შემუშავებული წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კლასისა და საფეხურის დაძლევის მექანიზმები და პროცედურები. დოკუმენტი ხელმისაწვდომია როგორც სკოლის ვებ-გვერდზე, ასევე დამრიგებლების მეშვეობით, ცნობილია მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის და ყველა დაინტერესებული პირისათვის. აღნიშნული წესი არეგულირებს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვას, მობილობის წესით სხვადასხვა კლასში ჩარიცხვას, სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით და შიდა წესით მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის დროს. მობილობა ხორციელდება მშობლის მიერ შემოტანილი განცხადების საფუძველზე, გამწვანებ სკოლას ეგზავნება მიმღები სკოლიგან eschool-ის საშუალებით მოთხოვნა მიმღები სკოლისგან, განხორციელებული პროცედურის შემდეგ მიმღები სკოლა გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ. დაინტერესებულ მხარეს შეუძლია ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისგან მისთვის სასურველ დროს მიიღოს ინფორმაცია მობილობის შესახებ. სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტის დროს აღნიშნული პროცესების შესწავლა მოხდა სკოლაში ახალი მოსწავლის შემოსვლის პრაქტიკის განხილვით (სწორედ ამ დროს გადმოვიდა ოცდამეერთე მოსწავლე სკოლაში), რაც ადასტურებს რომ სკოლა იცავს აღნიშნულ რეგულაციებს. მოსწავლის სხვა სკოლიდან მობილობა ხორციელდება ბრძანება N04/ნ-ის შესაბამისად, ხოლო ესგ-ის 35-ე მუხლის მიხედვით წარმართება კლასისა და საფეხურის დაძლევის ქმედებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლას არ აქვს მომსახურების სახეები, თუმცა თვითშეფასების კითხვარში აღწერილი აქვს კლუბური მუშაობა. საავტორიზაციო ვიზიტის დროს დგინდება, რომ თვითშეფასებაში სკოლის მიერ აღნიშნული კლუბების მუშაობა არის უფასო არაფორმალური განათლების ნაწილი და სკოლას არ აქვს მომსახურების სახეები.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლა ცდილობს, რომ მოსწავლეებს მისცეს დამოუკიდებლობის და შემოქმედებითი უნარების განვითარების საშუალება, რაზეც მეტყველებს არაფორმალური განათლების მრავალფეროვნება და აქტიური კლუბური თუ თვითმმართველობის მუშაობა. მოსწავლეები ჩართულნი არიან სასკოლო კლუბებში, პროექტებში, ხდება მათი ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა. სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების საჯაროდ ხელმისაწვდომობა ხდება მშობლებთან გაფორმებული ნებართვების საფუძველზე, სადაც იგი თანახმაა, რომ მისი შვილის მიერ განხორციელებული აქტივობების განთავსება სკოლამ მოახდინოს სოციალურ ქსელში. ეს ინფორმაცია უტყუარია, გადამოწმებულია სკოლის დოკუმენტაციაში, კანონმდებლობის შესაბამისია და არადისკრიმინაციულია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გლოლის საჯარო სკოლის მკითხველთა კლუბი „წიგნიერება“;
- დანართი1. კლასიდან კლასში გადაყვანა;
- მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- <https://skolebi.emis.ge/schools/1549?schoolName=> (სკოლის ვებ-გვერდი);
- საერთო კრების N1 ოქმი;
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება და ნებართვის დანართი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის Facebook გვერდი.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;

სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელი გლოლის საჯარო სკოლაში მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციისთვის დამტკიცებულია „სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმი“ (2024 წელი), რომელშიც გაწერილია პროცედურები, რაც უნდა განახორციელოს სკოლამ, როდესაც ახალი მოსწავლე მოდის.

სკოლაში არის ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემო.

სკოლაში სასწავლო პროცესის ადაპტაცია დაფუძნებულია დამრიგებლის მხარდაჭერაზე, რომელის საქმიანობაც გაწერილია სადამრიგებლო პროგრამაში. გარდა დამრიგებლის მხარდაჭერისა, ადაპტაცია განპირობებულია მოსწავლე-მშობელ-მასწავლებელ-ადმინისტრაციაზე. თუმცა, პოზიტიური საკლასო კლიმატის შექმნაში, მოსწავლეებს შორის ტოლერანტობის, ემპათიის, ნდობის, პატივისცემის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი აკისრია დამრიგებელს. ამასთან, დამრიგებელი, რომელსაც სისტემატური კავშირი აქვს მშობელთან, უსაფრთხოებაზე პასუხსმგებელ პირთან და ადმინისტრაციასთან, მოსწავლის ინტერესების სასიკეთოდ, აწყობს ისეთი აქტივობებს სადაც თითოეული მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას. სკოლის მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი ფორმალური და არაფორმალური განათლების/აქტივობების მაგალითები ცხადყოფს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალიზმის გათვალისწინებასა და სასკოლო საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობას. სკოლა ღიაა გარე მხარდაჭერი ღონისძიებებისთვის, შოვის ტრაგედიის შემდგომ სკოლაში აქტიურად მუშაობდა წითელი ჯვრის ფსიქოლოგთა ჯგუფი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

პირველ კლასში მიღებისას სკოლა აწყობს საზეიმო დღეს, დამრიგებელი მოსწავლეებს აცნობს და ათვალისწინებს სასკოლო გარემოს, აცნობს მეგობრებს. უმნიშვნელოვანესია კლასის დამრიგებლის როლი, კლასის საათებისა და საერთო კრების ოქმიდან ჩანს, რომ დამრიგებელი იჩენს ინიციატივას, და პირველივე კომუნიკაციის დროს მოსწავლეებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, რაც მათ დაეხმარებათ სკოლაში ინტეგრაციაში. მოსწავლეები ჩართულები არიან სპორტულ და არაფორმალური განათლების კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებში, მათი სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით აქცენტი კეთება მოსწავლეთა მრავალმხივ ინტერესსა და ძლიერი მხარეების გამოვლენაზე, ამის დამადასტურებელი კი

სკოლის მრავალფეროვანი არაფორმალური განათლების მაგალითებია. ადაპტაციისთვის ასევე მნიშვნელოვანია მშობლის ჩართულობაც, რაც სკოლის აქტივობებში ფიქსირდება. ავტორიზაციის ვიზიტის დრო სკოლის დაწყების პირველ სასწავლო კვირას დაემთხვა, სასკოლო სივრცეების გაფორმება მეტყველებს მოსწავლეთა დახვედრა-ადაპტაციისთვის სკოლის მხრიდან გამოვლენილ მზრუნველობაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სკოლა ასახელებს, რომ შედარებით დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან მიღწევების გასაუმჯობესებლად ტარდება დამატებითი მეცადინეობები, აქცენტი კეთდება მათ ძლიერ მხარეებზე. ხდება მათი შესაძლებლობების შესაბამისი დავალებების შედგენა, რათა მოხდეს პროგრამული მასალის საშუალო დონეზე დაძლევა. სკოლის კადრთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ მოსწავლე რომელიც ჯანმრთელობის ან სხვა მიზეზის გამო თუნდაც ერთი დღე აცდენს სკოლას, ჩართულია საგაკვეთილო პროცესში. მიუხედავად სკოლის გაცდენისა მოსწავლეებისთვის ჩვეულებრივი ამბავია სახლიდან ონლაინ ფორმატში საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა. აღნიშნული პრაქტიკა არ არის გაწერილი ოფიციალურად და ეფუძნება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მოხალისეობრივ კულტურას. სკოლის დოკუმენტაციაში იკითხება შინ სწავლებისთვის მზაობაც, თუმცა ზემოხსენებული პრაქტიკა ეხება ერთი ან რამდენიმე დღის სკოლის ტიპურ გაცდენას. მასწავლებელთა დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების წარმატებულ პრაქტიკაზე მეტყველებს მოსწავლეთა ეროვნული გამოცდების მაღალი შედეგები. ამასთან, სკოლა ამაყად აცხადებს, რომ სოფელში არ არსებობს ე.წ. რეპეტიტორობის პრაქტიკა და მოსწავლეთა ეროვნული გამოცდების შედეგები პირდაპირ კავშირშია სკოლის მიერ მოსწავლის მხარდაჭერასთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

ზოგადი განათლების სისტემაში არსებული რეგულაციებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეებს 30% და მეტის გაცდენის შემთხვევაში ენიშნებათ ექსტერნატის გამოცდა. მსგავსი შემთხვევების პრევენციისთვის, სკოლა

სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას მშობლებს მოსწავლეთა გაცდენების შესახებ, ამასთან მოსწავლეთა გაცდენები აღრიცხულია ელექტრონულ ჟურნალში. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ადმინისტრაციულ/სამართლებრივი აქტი, რომლითაც დგინდება ექსტერნატის ფორმით დაძლევის, გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადები. სკოლაში გამოიცემა მოსწავლეების საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევისა და მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება. სკოლა განსაზღვრავს პირველ კლასში მოსწავლეთა ლიმიტს, რომელიც აისახება ელექტრონულად Eschool-ის ბაზაში. გამოიცემა შესაბამისი აქტი. ასევე მოსწავლეთა პირველი კლასიდან მეორეში გადაყვანისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ამორიცხვის შესახებ ბრძანება. სკოლა მოსწავლეს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მაგალითად, მოსწავლის რეგისტრაციას, ჩარიცხვა-ამორიცხვას ექსტერნატის ფორმით დაძლევას და გამოცდის ჩატარებას დროულად ატყობინებს მშობელს. ამასთან, ექსტერნატის ან/და საშემოდგომო გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში, რომლის დეტალური პროცედურები და ასევე, მხარდამჭერი მექანიზმები სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაშია გაწერილი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლის დოკუმენტაციის შესწავლა ცხადყოფს, რომ სკოლაში დასაქმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას და მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერას. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება, სკოლაში განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი შემოქმედებითი პროდუქტები, სკოლის სოციალური გვერდის შესწავლა ცხადყოფს, რომ სკოლა ცდილობს მოსწავლეს მისცეს დამოუკიდებლობის და შემოქმედებითი უნარების განვითარების საშუალება. მოსწავლეები ჩართულნი არიან სასკოლო კლუბებში, პროექტებში. ხდება მათი ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა (საკლასო, სასკოლო გამოფენები, პრეზენტაციები) როგორც სასკოლო ბაზაზე, ასევე დირექტორისა და მასწავლებლების შუამდგომლობით ადგილობრივ თვითმმართველობასა თუ ბიზნესთან. სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი. საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში არის ერთი ან ორი მოსწავლე, მათი კრიტიკული და

არგუმენტირებული აზროვნების გასავითარებლად სკოლა ასახელებს თანამშრომლობითი გარემოს შექმნის საჭიროებას, სადაც მოსწავლეები შეძლებენ სხვა მოსწავლეებთან მსჯელობას. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებში აღნიშნულ გამოწვევას სკოლა პასუხობს დებატკლუბი „შოვის“ ჩამოყალიბებით. კლუბში გაერთიანებულია VII -XII კლასის 10 მოსწავლე, ისინი ხვდებიან ერთმანეთს სკოლის შემდგომ არაფორმალურ გარემოში და სხვადასხვა საკითხზე აწყობენ დისკუსია-დებატებს. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ ოლიმპიადებში (სპორტული, ეროვნული), ადგილობრივ, მუნიციპალურ კონკურსებსა და აქტივობებში. სკოლას აქვს გასულ წელს გაფორმებული მემორანდუმი პროფესიულ სასწავლებელ „ერქვანთან“, სადაც პროფესიული განათლების ხელშეწყობისთვის მოსწავლეები სწავლობდნენ კომპიუტერული პროგრამებს, ხოლო მიმდინარე წელს გაფორმებულია იყო მემორანდუმი კოლეჯ „იკაროსთან“, რომლის მიზანი იყო პროფესიული უნარების პოპულარიზაცია. აღნიშნულ კურსში მოსწავლეები დაეუფლნენ კულინარიის პროფესიას. დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ 2024-2025 სასწავლო წლისთვის კვლავაც მიმდინარეობს მოლაპარაკება კოლეჯებთან მოსწავლეებში სხვადასხვა პროფესიული კომპეტენციების დასანერგად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. სკოლის მხრიდან მოსწავლეების მოსაზრებების მოსმენა და მათი ინტერესების გათვალისწინების მაგალითებს ვხდებით მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივის “გავალამაზოთ სკოლის ეზოს” ფარგლებში სკოლის დირექციის მხარდაჭერის მაგალითებში, აღნიშნული პროექტისთვის გამოიყოფიან ფინანსები ყვავილების ნერგების შესაძენად და ყვავილნარის მოსაწყობად. სკოლის სამოქმედო გეგმით გათვლილი ეზოს კეთილმოწყობის საკითხები მოსწავლეთა ინტერესების და მათი ორგანიზებით შესრულდა. სკოლას წარმოდგენილ მტკიცებულებებში აქვს მიმოწერა ადგილობრივ თვითმმართველობასთან და ბიზნესთან, მოსწავლეთა პროექტებისთვის რესურსებისა და განხორციელების ხელშეწყობის მოძიების მიზნით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლის გარემოსთან ადაპტირების წესი;
- სასკოლო კლუბების წესდებები;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვის ბრძანებები;
- განხორციელებული პროექტები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- სკოლის სამოქმედო გეგმა;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

სკოლაში ვიზიტი ცხადყოფს, რომ ყურადღება ეთმობა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურებას, მაგ. სახელობო განათლებას. მიმდინარე წელს სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი კოლეჯ „იკაროს“-თან, რომლის მიზანი იყო პროფესიული უნარების პოპულარიზაცია. აღნიშნულ კურსში მოსწავლეები დაეუფლნენ

კულინარის პროფესიას. ხდება სხვადასხვა პროფესიის გაცნობა და მოტივაციის გაზრდის მიზნით სკოლაში ეწყობა შეხვედრები პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენლებთან. სკოლა აპირებს კოლეჯთან მემორანდუმის ფარგლებში მიმდინარე სასწავლო წელს მუშაობის გაგრძელებას. სადამრიგებლო პროგრამებსა თუ სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა მტკიცებულებებში გამჭოლად იგულისხმება პროფესიული ორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის მომსახურების ელემენტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე);

სკოლასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მხრიდან ხდება მოსწავლეების და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდეგ კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ, როგორც ზეპირი კომუნიკაციით, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით. აღნიშნულთან დაკავშირებით დამრიგებლებს კომუნიკაცია აქვთ მშობლებთან. სკოლის სივრცეებში (მაგ. ბიბლიოთეკაში) განთავსებულია სხვადასხვა საინფორმაციო რესურსი, რომელშიც იკითხება სხვადასხვა ინფორმაცია პროფესიული თუ კარიერული განვითარების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეფასების შედეგების გათვალისწინებით, სკოლა აღნიშნულ მომსახურებას მომავალი სასწავლო წლისთვის უფრო მეტად გააუმჯობესების მზაობას ასახელებს თვითშეფასების პროცესში. სკოლასთან გასაუბრებიდან დგინდება, რომ კოლეჯ „იკაროსთან“ წინა წლის გამოცდილება მოსწავლეებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და სასიამოვნო იყო. სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლასა და

ა(ა)იკ კოლეჯ „იკაროსი“-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში პროექტის განხორციელებისათვის მოხდა სკოლის აღჭურვა საჭირო სამზარეულოს ინვენტარით, რომელიც შემდგომში სკოლას საკუთრებაში გადაეცა, რაც მოსწავლეებს აძლევთ შესაძლებლობას მიღებული გამოცდილების უწყვეტად განვითარებაში. სკოლის დირექტორი და კოლეჯი კვლავაც შეთანხმებულია მიმდინარე სასწავლო წელს ერთად მუშაობაზე, თუმცა ჯერ მუშავდება სკოლის საჭიროებებს მორგებული პროექტი, რის შემდგომაც მოლაპარაკებები დასრულდება ახალი მემორანდუმით. აგრეთვე სკოლა მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმაში ამოცანად ასახელებს „მოსწავლეთა აკადემიური და პროფესიური მხარდაჭერის სისტემის დანერგვას“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კოლეჯი „იკაროსი“;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის სამოქმედო გეგმა;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლაში ამჟამად არ არის სსსმ მოსწავლე, თუმცა სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში სკოლას შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომლის ცარიელი შაბლონიც სკოლას დამტკიცებული აქვს. სასკოლო სასწავლო გეგმაში კი

დეტალურად არის გაწერილი სსსმ მოსწავლის სწავლების მზაობა, დოკუმენტში წარმოდგენილია: თუ რა მოიაზრება ცნებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ვინ შეიძლება იყოს სსსმ მოსწავლე; რა პროცედურებით ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება; სკოლის ვალდებულება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, როგორ უნდა მოახდინოს მოსწავლისთვის ესგ-ს მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოს აკომოდაცია, ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - ნიმუში
- სასკოლო-სასწავლო გეგმა 2023-2024 - გლოლის საჯარო სკოლა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);*

სკოლას არ აქვს შეთავაზებული დამატებითი მომსახურება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. *სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;*

სკოლას არ აქვს შეთავაზებული დამატებითი მომსახურება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. შეესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლას არ აქვს შეთავაზებული დამატებითი მომსახურება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2		ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლოკურიკულუმი განათლების დაწყებითი კურიკულუმი)	(ზოგადი საფეხურის საფეხურის)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება		☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება		☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება		☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და არევიზია		☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლოკურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

2.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1});

2.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1});

2.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1});

2.1.1.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1});

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- მშობელთა კრების ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობაზე;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები,მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულმიდგომებს;

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

2.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1}, დანართი №5^{2.1}):

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1.სასურველია, რომ მუსიკის I-IV კლასების კურიკულუმების რესურსებში მითითებულ იქნას გრიფირებული სახელმძღვანელოების გვერდები, ხოლო სამინისტროს მასალები წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ლინკებით. მიაქციეთ ყურადღება, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მე-5 კლასის კურიკულუმში ყველა თემატურ ბლოკში ყველა სამიზნე ცნება მუშავდებოდეს (კურიკულუმში არ ჩანს, რომ პირველ ბლოკში მუშავდება სამიზნე ცნება სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები). ასევე გასათვალისწინებელია, რომ დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის კურიკულუმში ნაჩვენები იყოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა.

2. მიაქციეთ ყურადღება, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მე-5 კლასის კურიკულუმში ყველა თემატურ ბლოკში ყველა ცნება სამიზნე მუშავდებოდეს (კურიკულუმში არ ჩანს, რომ პირველ ბლოკში მუშავდება სამიზნე ცნება სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები).

3.ესთეტიკურ საგნებში თითქმის ყველა კლასში ჩანს, რომ კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოდგენს შემოქმედებით პროდუქტს (კომპლექსური დავალების სახით). გამონაკლისია მუსიკის მე-3 კლასის კურიკულუმში, სადაც შემოქმედებითი პროდუქტი არაა წარმოდგენილი. სასურველია, რომ მე-3 კლასის კურიკულუმშიც აისახოს შუალედური მიზანი შემოქმედებითი პროდუქტის სახით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1.საგნობრივ კურიკულუმებში (ჩვენი საქართველო მე-5, მე-6 კლასი) სასურველია, მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მახასიათებლები, კონტექსტ-მაგალითები, რომლებსაც მოსწავლე მიჰყავს ესგ-ით გაწერილ მოკლევადიან და გრძელვადიან შედეგებამდე.

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1.სასურველია კურიკულუმში ჩანდეს, რამდენი საათი ეთმობა თითოეული გავლას. სასურველია ,რომ კომპლექსური დავალების ნაცვლად შესაბამის ქვეთავში ეწეროს შემოქმედებითი პროდუქტი

.2.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1}, დანართი №5^{2.1}):

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1. სასურველია თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა ნაჩვენები იქნას ორივე საგნის კურიკულუმში.

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1. კურიკულუმებში III -VI კლ. შეუძლიათ დაამატონ სასკოლო სახელმძღვანელოებში მითითებული კომპლექსური ტიპის დავალებები, ასევე შეუძლიათ გამოიყენონ მათემატიკის ვებსაიტზე math.ge განთავსებული დავალებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა : -

1.სასურველია თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში დაიგეგმოს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (ჩვენი საქართველო მე-5,მე-6 კლასი; მე და საზოგადოება მე-3,მე-4 კლასი) ჩვენი საქართველოს საგნობრივ კურიკულუმში მკაფიოდ განისაზღვროს კურიკულუმით დაგეგმილი ყველა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის იდეა, მაგ. რის შესახებ უნდა შექმნას მოსწავლემ ბუკლეტი.

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა : -

1.გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარე (სამიზნე ცნებები) თითოეული თემის ფარგლებში დაზუსტდეს ქვეცნებები და ქვესაკითხები. ამავდროულად, გადაიხედოს სარეკომენდაციო თემათა რაოდენობა, სწავლის შედეგების მიღწევათა უზრუნველსაყოფად (მაგ: მეექვსე კლასის კურიკულუმში).

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა : -

1.თითოეული კლასის კურიკულუმში გაწერილია ძირითადად ერთი შემოქმედებითი პროდუქტი, თუმცა საგნის მასწავლებელთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ რეალურად მეტს ახორციელებენ, რისი ასახვაც კურიკულუმში სასურველია.

2.სასურველია, კურიკულუმის ქუდში ჩანდეს, საგნის სემესტრული და წლიური საათობრივი დატვირთვა

3. სასურველია კურიკულუმში მითითებული იყოს კონკრეტული აქტივობების აღწერა, რომლებსაც მასწავლებელი ახორციელებს წლის განმავლობაში, მაგ: თემატური პოსტერი, სხვა საგნებთან ინტეგრირებული პროექტი და მისი.

4. სასურველია კურიკულუმის თემების გრაფაში ჩანდეს, რამდენი საათი ეთმობა თითოეული თემის გავლას

2.1.2.3.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{2.1}):

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა :-

1. მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, მეტი აქცენტი გაკეთდეს ელ. რესურსების გამოყენებაზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა :-

1. სასურველია ბუნებისმეტყველების დაწყებით საფეხურზე სწავლების პროცესში მეტი ინტენსივობით იყოს გამოყენებული არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსი მარტივი ცდების ჩატარებისთვის.

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა :-

1. გამომდინარე უცხო ენი სსპეციფიკიდან ინტერნეტზე წვდომის შემთხვევაში შესაძლებელია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება, გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ რესურსებ სშემდლების დაგვარად იყენებენ, ოღონდ ეს სრულად არჩანს კურიკულუმში, სასურველია გამოყენებული აუდიო, ვიდეო და ტექსტური ფაილების ბმულების სრული სიის კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითება.

2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1}, დანართი №5^{2.1}):

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა :-

1. სასურველია კურიკულუმში ჩანდეს დიფერენცირებული მიდგომის მაგალითები, მაგ. მოსწავლეს მიეცეს საშუალება, თავად აირჩიოს შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენის ფორმა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა :-

1. დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში შუალედური მიზანი სასურველია იყოს მრავალფეროვანი. გარდა კომპლექსური დავალებებისა, წარმოდგენილი იყოს შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი სხვა ტიპები, საგნობრივი სასწავლო პროექტები. რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობებისა, საჭიროებების და დიფერენცირებული სწავლების მხარდაჭერას.

2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{2.1}):

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა :-

1. სასურველია, რომ მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შეფასებები ორიენტირებულ იქნას ცნებებსა და ქვეცნებებზე, იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს, თუ როგორ მოხდა მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრება სხვადასხვა თემატურ კონტექსტში.

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა :-

1. მოსწავლის შეფასების სისტემა მათემატიკაში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები ცოტაა და აუცილებელია სრულად გაამზადონ პირველი სემესტრისთვის მაინც.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1. შეფასების რუბრიკების შექმნისას პედაგოგებმა იხელმძღვანელონ საგნობრივი (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებით, რომ შესაძლებელი იყოს მოსწავლის (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) შეფასება კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1. ექსპერტის მხრიდან, სკოლას მიეცეს რჩევა, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინონ კრიტერიუმთა კორელაცია მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში.

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1. შეფასები სრუბრიკები და კრიტერიუმები არის ზოგადი, სასურველია მეტი კონკრეტიკა, მაგალითად, თემის შეფასების რუბრიკები, რომლებშიც ზუსტად აისახება, მოცემულ თემაში გავლილი რა საკითხები ფასდება და როგორ. ინგლისური ენის რუბრიკები უფრო მრავალფეროვანია, თუმცა კათედრაზე იგრძნობა ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება, აქედან გამომდინარე, სასურველი და შესაძლებელია ინგლისური ენის გამოცდილების გაზიარება და რუსული ენის კურიკულუმის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებით გამდიდრება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სკოლის ვებ გვერდი;
- კომპლექსური დავალების ანალიზის ფორმა;
- ვერიფიკაციის მექანიზმები.

- ლაბორატორიის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალა
 - გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
 - შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი :

2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{2.1});

2.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1});

2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{2.1});

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა :-

1. სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.

2.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1});

2.2.1.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1});

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ვერიფიკაციის მექანიზმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

2.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას *(დანართი №5^{2.1})*:

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1. სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის მუსიკის კურიკულუმების რესურსებში შეტანილ იქნას გრიფირებული სახელმძღვანელოები გვერდების მითითებით, ხოლო სამინისტროს მასალები წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ლინკებით. სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის მუსიკის კურიკულუმების რესურსებში შეტანილ იქნას გრიფირებული სახელმძღვანელოები გვერდების მითითებით, ხოლო სამინისტროს მასალები წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ლინკებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1. სასურველია, თითოეული თემის დამუშავებისას გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, როგორც ციფრული, ისე მატერიალური სახით.

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა :-

1.გამომდინარე უცხოენის სპეციფიკიდან ინტერნეტზე წვდომის შემთხვევაში შესაძლებელია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება. გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ რესურსებს იყენებენ, ოღონდ ეს სრულად არ ჩანს კურიკულუმში, სასურველია გამოყენებული აუდიო, ვიდეო და ტექსტური ფაილების ბმულების სრული სიის კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითება.

2.2.2.2. . ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5 ^{2.1}):

2.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5 ^{2.1}):

2.2.2.4.. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5 ^{2.1}):

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა : -

1.სასკოლო სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ სკოლაში არსებობს სამი საგნობრივი კათედრა და მუსიკა შედის დაწყებითი კლასების კათედრის შემადგენლობაში. დაწყებით საფეხურზე მუსიკას და სახვით და გამოყენებით ხელოვნებას ატარებენ დაწყებითი საგნებისა და ქართული ენის პედაგოგები, ასევე მოწვეული მასწავლებლები. სკოლა ამას ხსნის იმ გარემოებით, რომ მაღალმთიან სოფელში ფიზიკურად არ ჰყავთ სათანადო კვალიფიკაციის კადრები. იმის გათვალისწინებით, რომ ესთეტიკური აღზრდის კურიკულუმებში ძირითადად სწორად არის გააზრებული სამიზნე ცნებების მიმართება თემებთან, თემატურ ბლოკებთან და შუალედურ მიზნებთან, ხოლო სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგების პოზიციებზე, მოხდა აღნიშნული კრიტერიუმის დადებითად შეფასება. ესთეტიკური აღზრდის საგნების პედაგოგებს მიეცათ რჩევა გაიარონ სათანადო ტრენინგები, გაეცნონ სამინისტროს მიერ შექმნილ რესურსებს, კერძოდ, ვიდეო გაიდებსა და სემინარებს და ჩააბარონ საგნის გამოცდა. სკოლას მიეცეს რჩევა, რომ აღნიშნულ საგნებში სისტემატიურად გამოაცხადოს ვაკანსია (ვიზიტის პერიოდში ვაკანსიის განაცხადის ვადა დასრულებული იყო), მოიწვიოს სათანადო კვალიფიკაციის მასწავლებლები მეზობელი სოფლებიდან, ან განიხილოს ესთეტიკური აღზრდის საგნებში ონლაინ გაკვეთილების ჩატარების საშუალება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1.ვინაიდან სოფელი არის საზღვრისპირა, მაღალმთიანი და არის კადრების დეფიციტი, საგან მე და საზოგადოებას ასწავლის არასერტიფიცირებული მასწავლებელი. სასურველია სკოლამ სისტემატიურად დადოს ვაკანსიები, რათა საგანი ასწავლოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების მქონე კვალიფიციურმა პედაგოგმა.

კომპიუტერული ტექნოლოგიების ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა:-

1.საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს შეთავსებით აქვს აღნიშნული საგანი, რადგან სკოლას არ ყავს შესაბამისი კადრი. მასწავლებელი არის სკოლის საქმისმწარმოებელი და დაწყებითი კლასების უფროსი მასწავლებელი. მიუხედავად იმისა, რომ არ არის სპეციალისტი, იგი ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე. ამ კუთხით გავლილი აქვს სხვადასხვა საგნობრივი ტრენინგი. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში არის სრულყოფილი და სრულიად უწყობს ხელს საგნის სწავლების შედეგების მიღწევას. რადგან სკოლა მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში და ჭირს კადრების მოძიება, რასაც ადასტურებს teacherjobs.ge -ზე განთავსებული ვაკანსიები, სასურველია სკოლამ სისტემატიურად გამოაცხადოს ვაკანსია შესაბამისი კადრის აყვანამდე.

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1. სკოლას აქვს დადებული რუსული ენის მასწავლებლის ვაკანსია სასწავლო წლის დასაწყისში. სასურველია: სისტემატურად დაიდოს აღნიშნული ვაკანსია, მოიძიოს საგნის მასწავლებელი მეზობელი სოფლიდან, ან მოიძიოს კადრი ონლაინ რეჟიმში გაკვეთილების ჩატარებისთვის (აღნიშნულის შემთხვევაში შეათანხმოს საკითხი განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ბრძანება ვაკანსიის გამოცხადების შესახებ;
- გრიფირებული სახელმძღვანელოები;
- ინვენტარიზაციის ოქმი;
- მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ.გვერდი <https://teacherjobs.ge>;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს.

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

2.3.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას *(დანართი №5 1.1)*

2.3.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას *(დანართი №5 1.1)*

2.3.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას *(დანართი №5 1.1)*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა მასალები;
- კათედრის სამუშაოს შემაჯამებელი ოქმები/ანგარიში .

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს.

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა დაანალიზი:

2.3.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5 1.1)

2.3.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5 1.1)

2.3.2.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5 1.1)

2.3.2.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5 1.1)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმები;
- მოსწავლის დავალებების ნიმუში ამავე დავალების შეფასების რუბრიკით;
- შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი;
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა დარევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

2.4.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5 1.1)

2.4.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5 1.1)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმის თვისცალ-ცალკე

სტანდარტი 2			ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო განათლების კურიკულუმი	კურიკულუმი საბაზო	(ზოგადი საფეხურის)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება			☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება			☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება			☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია			☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

2.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1,2});

2.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1,2});

2.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1,2});

2.1.1.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1,2});

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- მშობელთა კრების ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობაზე;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

2.1.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1,2}, დანართი №5^{2,2}):

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1.სასურველია, რომ საბაზო საფეხურის მუსიკის და მე-7 კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების რესურსებში მითითებულ იქნას გრიფირებული სახელმძღვანელოების გვერდები, ხოლო მუსიკის კურიკულუმებში სამინისტროს მასალები წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ლინკებით.ასევე გასათვალისწინებელია, რომ საბაზო საფეხურის ორივე საგნის კურიკულუმებში ნაჩვენები იყოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1..სასურველია, პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, კონტექსტ მაგალითები, მაგალითები შედარებისათვის.

2.1.2.2..ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1,2}, დანართი №5^{2,2}):

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1.სასურველია თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვანაჩვენები იქნას ორივე საგნის ყველა კლასის კურიკულუმში (თემის ჯამური საათობრივი დატვირთვა მოცემულია მხოლოდ მუსიკის მე-7 კლასის).

უზოგური ენები საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1. თითოეული კლასის კურიკულუმში გაწერილია ძირითადად ერთი შემოქმედებითი პროდუქტი, თუმცა საგნის მასწავლებელთან საუბრისდროს გამოიკვეთა, რომ რეალურად მეტს ახორციელებენ, რისი ასახვაც კურიკულუმში სასურველია.

2. სასურველია, კურიკულუმის ქუდში ჩანდეს, საგნის სემესტრული და წლიური საათობრივი დატვირთვა.

3. სასურველია კურიკულუმში ჩანდეს, რამდენი საათი ეთმობა თითოეული თემის გავლას. სასურველია, რომ კომპლექსური დავალების ნაცვლად შესაბამი სქვეთავშ იეწეროს შემოქმედებითი პროდუქტი.

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

შუალედური მიზნების რაოდენობა ცოტაა, შეტანილი აქვთ 1 ან 2 დავალება. სასურველია ყველა თემის სწავლებისას გამოიყენონ და ასახონ კურიკულუმებში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1.სასურველია თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში დაიგეგმოს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (ისტორია,გეოგრაფია,მოქალაქეობა მე7,მე-8,მე-9 კლასი) საგნობრივ კურიკულუმში მკაფიოდ განისაზღვროს კურიკულუმით დაგეგმილი ყველა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის იდეა, მაგ. რის შესახებ უნდა შექმნას მოსწავლემ სტატია.

2.სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში, მითითებული იყოს თითოეული თემისთვის დათმობილი სავარაუდო საათების რაოდენობა.

სახელმწიფო ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1.კურიკულუმის შემუშავებისას, მასწავლებელმა გაითვალისწინოს საბაზო საფეხურის საგნობრივი სპეციფიკა (პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული თემები) და სასწავლო პროცესი გაამრავალფეროვნოს შესაბამისი კონტექსტმაგალითებით .

2.1.2.3.. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{2.2}):

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 22.07.2024 და 22.07.2025 მდე უნდა მოახდინოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსებისა და გამწოვი კარადის უზრუნველყოფა. აღნიშნული გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმაშიც. სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს განსაზღვრულ ვადებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსებისა და გამწოვი კარადის მობილიზება. ვიდრე სრულად იქნება უზრუნველყოფილი, მანამდე სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად სასურველია ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკის საგნების სწავლების პროცესში მეტი ინტენსივობით იყოს გამოყენებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსებიმარტივიექსპერიმენტებისა და ცდების ჩატარებისთვის. შერჩეული იყოს ისეთი ექსპერიმენტები და ცდები, რომლებიც უსაფრთხო იქნება მოსწავლეებისთვის და არ საჭიროებს გამწოვ კარადას (არარსებობის გამო), ალტერნატივად გამოიყენოს ლაბორატორიაში არსებული ფანჯარა. ასევე შესაძლებელია ზოგიერთი ცდის შესაბამის ღია სივრცეში ჩატარება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -

1. სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმში (ისტორია, მოქალაქეობა მე-7, მე-8, მე-9 კლასი), რესურსების სვეტში ჩაიწეროს გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, სხვა რა რესურსი (როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები), რომელსაც გამოიყენებს მასწავლებელი ამა თუ იმ თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დასამუშავებლად.

სახელმწიფო ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: -
